პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი 38-ე წელი № 253 (11257) | პარასკევი, 31 ოქტომბერი, 1958 წ. | ფასი 20 კაპ.

ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებო! ამრავლეთ ჩვენი ქვეყნის სულიერი სიმდიდრე! იბრძოლეთ ნაწარმოებთა მაღალი იდეურობისა და მხატვრული ოსტატობისათვის! ხალხის ცხოვრებასთან, ეპოქალურ ნამედროვეობასთან ლიტერატურისა და ხელოვნების მჭიდრო, გამჭოლ ყოველი კავშირისათვის!

(საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებებიდან).

მოსკოვი, სპორტის სასახლე, 29 ოქტომბერი. საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საზეიმო პლენუმის პრეზიდიუმში.

ფოტო ნ. პეტროვისა.

• • •

## ლენინის უძლეველი დროშით

### საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საზეიმო პლენუმი

კომუნისტური პარტიისადმი ლენინური კომკავშირის უსაზღვრო ერთგულების დემონსტრაციას წარმოადგენდა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საზეიმო პლენუმი, მიძღვნილი საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის დაარსების მე-40 წლისთავისადმი. იგი გაიმართა 29 ოქტომბერს მოსკოვში, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის სპორტის სასახლეში.

ხალხით გაჭედილია ტრიბუნები. სიხარულსა და საზეიმო განწყობილებას ფარავს ოქტენბერის, მხარეების, მოკავშირეთა და ავტონომიური რესპუბლიკების კომკავშირულ ორგანიზაციათა წარმომადგენლნი, საბჭოთა არმიის, მოსკოვისა და დედაქალაქის ოლქის კომკავშირული ორგანიზაციისა და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენელნი — 14 ათასზე მეტი კაცი, რომლებიც აქ შეკრებილან.

სცენაზეა გამოსახულებანი ლენინის სამი ორდენისა, წითელი დროშის ორდენისა და შრომის წითელი დროშის ორდენისა, რომლებითაც აღნიშნულია კომკავშირის დამსახურება სამშობლოს წინაშე, მაღლა აღმართულია საკავშირო ალკკ ნიშანი — წითელი ალამი მშრომელთა დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის ბანერეფით, ვის სახელსაც სიამაყით ატარებს კომკავშირი.

მჭუხარე, ხანგრძლივი ტაშით, ფეხზე დგომნი, მიესალმებიან შეკრებილნი პრეზიდიუმში შემოსულ ამხანაგებს ა. ბ. ბერეზუტოვს, ლ. ი. ბრეჟნევს, კ. ვ. ვოროშილოვს, ნ. გ. იგნატოვს, ფ. რ. კოზლოვს, ა. ი. მიკოიანს, ნ. ა. მუხიტდინოვს, მ. ა. სუსლოვს, ე. ა. ფურცევას, ნ. ს. ხრუშჩოვს, ნ. მ. შვერნიკს, ა. ნ. კოსიგინს.

გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს!“, „გაუმარჯოს საბჭოთა ხალხს!“, „დიდება შობლიურ კომუნისტურ პარტიას!“, „დიდება საბჭოთა მთავრობას!“.

პრეზიდიუმში არიან აგრეთვე საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნები ვ. ე. სემიჩასტნი, ს. პ. პავლოვი, ა. ნ. აქსიონოვი, ლ. კ. ბალიასნაია, ნ. შ. ვასაძე, ვ. პ. ლოგინოვი, ნ. ნ. მესიაცევი, კ. მურთაზაევი და ს. კ. რომანოვსკი, საკავშირო ალკკ საპატიო წევრები სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ნ. ა. მიხაილოვი და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ა. ნ. შელეპინი, ძველი კომუნისტები, პირველი კომკავშირელები, წარმოებისა და სოფლის მეურნეობის მოწინავენი, მეომრები — საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების ფრიადოსნები, პიონერხელმძღვანელები, კულტურის ახალგაზრდა მოღვაწეები, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და სამხედრო მუშაკები, მინისტრები.

მძლავრად და დიდებულად ეღერს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი. მარშის ხმაზე შემოაქვთ საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის წითელი დროშა. დროშაზეა ორდენები, რომლებითაც დაჯილდოებულია კომკავშირი. პლენუმის მონაწილენი ფეხზე მდგომნი, ხედებიან მშობლიური დროშის გამოჩენას.

მჭუხარე, ხანგრძლივი ტაშით ირჩევენ საზეიმო პლენუმის საპატიო პრეზიდიუმს — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს.

სიტყვა მოხსენებისათვის „საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის 40 წელი“ ეძლევა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ვ. ე. სემიჩასტნის.

დღეს, ამბობს იგი, ჩვენ აღვნიშნავთ დიდ სასიხარულო დღესასწაულს. საკავშირო ახალგაზრდობის ლენინურ კომუნისტურ კავშირს 40 წელი შეუსრულდა.

(დასახრული მე-2 გვერდზე).

## ბრძანებულება

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. შეიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მშენებლობისა და არქიტექტურის საქმეთა სამმართველოს ბაზაზე.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განიხილოს და დაამტკიცოს დებულება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის და არქიტექტურის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის შესახებ.

3. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მორიგი სესიის განსახილველად წინადადება საქართველოს სსრ კონსტიტუციის 50 მუხლის სათანადო ცვლილების შესახებ.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.**

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. გელდიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1958 წ. 30 ოქტომბერი.

# პოლონელი სტუმრების გულითადი გაცილება

## თბილისიდან გაემგზავრა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაცია

30 ოქტომბერს საბჭოთა საქართველოს დედაქალაქმა დიდი გულითადობითა და გულთბილობით გააცილა ძვირფასი სტუმრები — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. გომულკა, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ა. ზავადსკი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ცირანკევიჩი და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის სხვა წევრები.

აეროდრომი მორთულია საზეიმოდ. აეროვაგზლის ფრონტონზეა ვ. გომულკას, ა. ზავადსკის, ი. ცირანკევიჩის, კ. ე. ვოროშილოვის, ნ. ს. ხრუშჩოვის პორტრეტები. ფლაგშტოკებზეა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმები.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის წევრთა გასაცილებლად აეროდრომზე მოვიდნენ: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მჟავანაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. დ. ჩუბინიძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჯავახიშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები გ. ი. ქადაგიძე, ი. ს. დოლიძე, ფ. დ. დუმბაძე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები მ. ი. კუჭავა, ზ. ა. კვაჭაძე, ა. მ. ლაბახუა, კ. ს. ციმაკურიძე, ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალი არმიის გენერალი კ. ნ. გალიცკი, გენერალ-ლეიტენანტი ა. ნ. ინაური, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე გ. ი. ჩოგოვაძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ბ. გელდიაშვილი, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი გ. ა. გეგეშიძე, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ა. ე. მელაძე, საქართველოს სსრ მინისტრები, რესპუბლიკურ უწყებათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, საწარმოთა, დაწესებულებათა და სასწავლებელთა კოლექტივების წარმომადგენლები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის პასუხისმგებელი მუშაკები.

ვ. გომულკამ ვ. პ. მჟავანაძესთან ერთად მიიღო საპატიო ყარაულის პატაკი. ორკესტრმა შეასრულა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ჰიმნები.

მიკროფონთან მიდის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მჟავანაძე.

### ვ. პ. მჟავანაძის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგო გომულკა!

ძვირფასო ამხანაგო ზავადსკი!

ძვირფასო ამხანაგო ცირანკევიჩ!

ძვირფასო სტუმრებო, ძვირფასო მეგობრებო, ამხანაგებო!

თქვენმა ყოფნამ ჩვენს მიწაწყალზე, სამწუხაროდ **ესოდენ ხანმოკლემ, ჩვენ, მთელ** ქართველ ხალხს უდიდესი სიხარული მოგვანიჭა, ხელი შეუწყო პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის, პოლონელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობის განმტკიცებას.

მთელი ჩვენი ხალხი აღსავსე იყო სიყვარულით და პატივისცემით თქვენდამი, როგორც პოლონელი ხალხის საუკეთესო წარმომადგენლებისადმი, რომელიც წარმატებით აშენებს სოციალიზმს!

სულით და გულით გისურვებთ, ძვირფასო ამხანაგებო, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიულო და სახელმწიფო ხელმძღვანელებო, ჯანმრთელობასა და ახალ დიდ წარმატებებს თქვენს შემოქმედებითს მუშაობაში თქვენს საუცხოო ქვეყანაში, თქვენს ნიჭიერ ხალხთან ერთად. გეთხოვებით რა დღეს, ჩვენ არ გეუბნებით მშვიდობით. ჩვენ გეუბნებით ნახვამდის! მთელი ჩვენი ხალხი გეუბნებათ ნახვამდის! ყველა თბილისელი გეუბნებათ ნახვამდის!

ნახვამდის და ბედნიერი მგზავრობა!

ნახვამდის აგრეთვე ჩვენო ძვირფასო მეგობარო, ამხანაგო კირიჩენკო, ახალ შეხვედრამდე ჩვენს ქართულ მიწაწყალზე და მოსკოვში!

ძვირფასო მეგობრებო!

გადავცემთ ჩვენს გულწრფელ, მხურვალე სალამს სოციალისტურ პოლონეთს, მთელ პოლონელ ხალხს, რომელსაც ვუსურვებთ ახალ და ახალ გამარჯვებას, ბედნიერებასა და აყვავებას!

გაუმარჯოს პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას!

გაუმარჯოს სოციალისტურ პოლონეთს!

კეთილი იყოს თქვენი გამგზავრება, ძვირფასო მეგობრებო!

დიდება სოციალიზმის მთელ ბანაკს!

გაუმარჯოს კომუნიზმს — ჩვენი ხალხების ნათელ მომავალს!

გაისმის მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, დელეგაციის თავმჯდომარემ ვ. გომულკამ, რომელსაც დამსწრენი მხურვალედ შეხვდნენ.

### ვ. გომულკას სიტყვა

ძვირფასო ამხანაგო მჟავანაძე!

ძვირფასო ამხანაგო ჩუბინიძე!

ძვირფასო ამხანაგო ჯავახიშვილო!

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო! ცოტა დროს დათმობა მოგვიხდა თქვენთან ყოფნისათვის. ჩვენ ვტოვებთ თქვენს სტუმართმოყვარე ქვეყანას. ვფიქრობთ, ჩვენი ვიზიტი ნაყოფიერი იყო როგორც თქვენთვის, ისე ჩვენთვის. ეს იყო მეგობრობის, იმ ხალხთა ღრმა მეგობრობის ნამდვილი გულწრფელი ვიზიტი, რომელთაც არაფერი არ თიშავს, არამედ პირიქით ყველაფერი აერთიანებს. სწორედ ასეთი უნდა იყოს ადამიანთა ურთიერთობა, რომლებსაც აერთიანებს საერთო მიზანი, საერთო იდეა.

ორი დღე მეტად მოკლე ვადაა იმისათვის, რომ საფუძვლიანად გავცნობოდით თქვენს ცხოვრებასა და მიღწევებს. მაგრამ იმან, რაც ვნახეთ და მოვისმინეთ თქვენს ხელმძღვანელებთან საუბრებში და უბრალო ადამიანებთან შეხვედრების დროს, გადაგვიშალა აყვავებული ქვეყნის, დიდი შემოქმედებითი გაქანების სურათი.

თქვენი წარმატებანი, ისევე როგორც მთელი საბჭოთა კავშირის ისტორიული მიღწევები, შედეგია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, საბჭოთა კავშირის ხალხთა ხელმძღვანელის, მთელი საერთაშორისო მუშათა მოძრაობისათვის გამოცდილების საგანძურის ბრძნული, შორსმჭვრეტელი პოლიტიკისა და საქმიანობისა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის იდეებმა, რომელსაც ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა ყველა ჩვენთაგანისათვის, კიდევ უფრო ძლიერ გამოაღვიძა საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი ძალები. მათი შრომა გახდა უფრო ნაყოფიერი, ხოლო შრომის შედეგები მნიშვნელოვნად გაიზარდა.

ძვირფასო მეგობრებო!

ჩვენ მივდივართ დიდი მადლობის გრძნობით თქვენდამი იმ სტუმართმოყვარეობისა და გულითადი გულთბილი მიღებისათვის, რომელიც ჩვენ გაგვიწიეთ. მინდა დაგარწმუნოთ, რომ სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ჩვენ დიდხანს და კარგად მოვიგონებთ ამას.

თქვენს საუცხოო ქვეყანაზე, თქვენს ადამიანებზე, თქვენს შრომასა და ენთუზიაზმზე, თქვენს პიონერებზე, რომლებმაც მოგვხიბლეს, ვუამბობთ ჩვენს მუშათა კლასს და მთელ პოლონელ ხალხს.

გამოთხოვების წინ ნება მიბოძეთ პოლონელი ხალხის სახელით ერთხელ კიდევ სულით და გულით მივესალმო ქართველ ხალხს და გისურვოთ შემდგომი წარმატებანი შრომაში თქვენი სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის საკეთილდღეოდ, ყველა სოციალისტური ქვეყნის საკეთილდღეოდ.

განსაკუთრებით გულითადად მივესალმებით თქვენი საუცხოო დედაქალაქ თბილისის მცხოვრებლებს და მადლობას ვუძღვნით მათ მეგობრობისა და სიმპათიის გამოვლინებისათვის, რომლებითაც გვხვდებოდნენ ქუჩებში, შეხვედრებსა და მიტინგებზე, ყოველ ნაბიჯზე.

გაუმარჯოს პოლონეთ-საქართველოს ძმურ მეგობრობას.

გაუმარჯოს სოციალისტურ საქართველოს რესპუბლიკას!

გაუმარჯოს დიდ საბჭოთა კავშირს!

გაუმარჯოს მშვიდობასა და სოციალიზმს!

აეროდრომზე დიდხანს და მძლავრად გრიალებს ტაში, რომელიც ოვაციად იქცევა.

* * *

ამხანაგები ვ. გომულკა, ა. ზავადსკი, ი. ცირანკევიჩი და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის სხვა წევრები ძმურად ართმევენ ხელს რესპუბლიკის ხელმძღვანელებს და ადიან „ტუ-104“ თვითმფრინავზე. დილის 10 საათზე ვერცხლისფერი საჰაერო ხომალდი ჰაერში ავიდა და კურსი აიღო კიევისაკენ.

პოლონეთის დელეგაციასთან ერთად უკრაინის დედაქალაქში წავიდნენ საბჭოთა ქვეყანაში მოგზაურობისას დელეგაციის თანმხლებნი — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ი. კირიჩენკო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მ. პ. ტარასოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ნ. პ. ფირიუბინი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ი. ვ. ანდროპოვი, სსრ კავშირის ელჩი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში პ. ა. აბრასიმოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მეოთხე განყოფილების გამგე ა. ი. გორჩაკოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ი. ფ. ძერჟინსკი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის მოადგილე ფ. ს. ნიკიფოროვი.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დელეგაციის ყოფნა საქართველოში და გაცილება გადაიქცა საბჭოთა და პოლონელი ხალხების ურღვევი მეგობრობის მკაფიო დემონსტრაციად. (საქდესი).

# ლენინის უძველესი დროშით

(დასასრული)

## საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საზეიმო პლენუმი

ჩვენთან ერთად საბელოვან იუბილეს მთელი საბჭოთა ხალხი აღნიშნავს. პარტიის ერთგულმა თანაშემწემ — ლენინურმა კომკავშირმა კომუნიზმის აშენებისათვის თავისი თავდადებული შრომით სოციალიზმის მტრების წინააღმდეგ, სამშობლოს ღირსებისა და დამოუკიდებლობისათვის გმირულ ბრძოლაში აქტიური მონაწილეობით ჩვენი ქვეყნის მშრომელთა დიდი სიყვარული და პატივისცემა მოიხვეჭა.

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის სახელით ვ. ე. სემიჩასტნი მხურვალედ ულოცავს ღირსშესანიშნავ წლისთავს ყველა კომკავშირელს, ახალგაზრდა მუშებსა და კოლმეურნეებს, ახალგაზრდა მეცნიერებსა და სპეციალისტებს, სტუდენტებს, მოსწავლეებს, საბჭოთა არმიის მეომრებს, ყველა საბჭოთა ქალიშვილსა და ჭაბუკს და უსურვებს მათ შემდგომ წარმატებებს შრომაში, სწავლაში, უსურვებს დიდ ადამიანურ ბედნიერებას.

ოთხი ათეული წელია, — განაგრძობს შემდეგ მომხსენებელი, — ცხოვრობს და შრომობს კომკავშირი ხალხის საკეთილდღეოდ, მშობლიური კომუნისტური პარტიის სასიხარულოდ. დღითიდღე, წლითიწლამდი მატულობდა მისი ძალები, იზრდება მისი რიგები. პარტიის მიერ მრისხანე 1918 წელს ახალგაზრდობის კომუნისტურ კავშირად შეკავშირებულ ახალგაზრდა რეგოლუციონერთა ოცდაორათასიანი რაზმი დღეს გაიზარდა ახალგაზრდა ენთუზიასტთა 18-მილიონიან არმიად, რომელნიც მზად არიან პარტიის პირველი დაძახებისთანავე წავიდნენ კომუნიზმისათვის ბრძოლის ყველაზე ძნელ უბნებზე.

ჩვენი იუბილე მიმდინარეობს ღირსშესანიშნავ დროს. სამი თვის შემდეგ მოსკოვში გაიხსნება პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობა. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ყრილობები ისტორიული ნიშანსვეტებია საბჭოთა სახელმწიფოს ცხოვრებაში, ჩვენი ხალხების ბედში, მათ ბრძოლაში ნათელი მომავლისათვის. ყრილობების გადაწყვეტილებანი აიორაღებენ პარტიას, ყველა მშრომელს მოქმედების კონკრეტული პროგრამით, მოუწოდებენ ახალი გამარჯვებებისაკენ, ახალი ისტორიული საქმეებისაკენ. ცნობამ ყრილობის მოწვევის შესახებ, რომელიც შეიმუშავებს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების შვიდწლიან გეგმას, საბჭოთა ადამიანების, ჩვენი ქალიშვილებისა და ჭაბუკების გული აღავსო სიხარულით და აღფრთოვანებით, სიამაყით მშობლიური კომუნისტური პარტიისთვის, რომელსაც გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ მივყავართ.

ნათელი თვალით შეჰყურებენ საბჭოთა ქალიშვილები და ჭაბუკები ჩვენი სამშობლოს საუცხო მომავალს, ამბობს ამხ. სემიჩასტნი. ვაშენოთ! ჩავწვდეთ მეცნიერების სიღრმეს! შეეტმნათ ახალი ტექნიკა! მოვიყვანოთ შესანიშნავი მოსავალი! დღეს გავაკეთოთ მეტი და უკეთესად, ვიდრე გუშინ, ხვალ — მეტი და უკეთესად, ვიდრე დღეს, — აი რა არის ჩვენი შესანიშნავი ეპოქის ახალგაზრდა თანამედროვის მისწრაფებათა აზრი.

მომხსენებელი დაწვრილებით ლაპარაკობს ლენინური კომკავშირის მკაფიო, შრომითი და საბრძოლო გმირობით აღსავსე ისტორიაზე. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მთელი მისი სახელოვანი საბრძოლო გზა განუყრელად დაკავშირებულია კომუნისტურ პარტიასთან. მის გმირულ ბრძოლასთან ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისა და კომუნიზმის მშენებლობისათვის, საბჭოთა ხალხის ისტორიასთან.

1918 წლის 29 ოქტომბერს მუშათა და გლეხთა ახალგაზრდობის კავშირების სრულიად რუსეთის პირველმა ყრილობამ, რომელიც მოწვეული იყო პარტიის ცენტრალური კომიტეტის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით, პოლიტიკურად და ორგანიზაციულად გააფორმა რუსეთის ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის შექმნა. ამ მოვლენამ პრინციპული სიახლე შეიტანა ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალგაზრდობის როლის საკითხში. კომკავშირმა მუშა და გლეხი ახალგაზრდობა დარაზმა ერთ მთლიანობად და მტკიცედ დაუკავშირა პარტიას, გახდა საბჭოთა სახელმწიფოს აქტიური საზოგადოებრივი ძალა.

დღეს, საზეიმოდ აღნიშნავენ რა საკავშირო ალკკ ორმოცი წლისთავის იუბილეს, საბჭოთა ქალიშვილები და ჭაბუკები თავს ხრიან იმ ახალგაზრდა გმირთა ნათელი ხსოვნის წინაშე, რომლებიც დაიღუბნენ რევოლუციისა და სამოქალაქო ომის დროს ხალხის საქმისათვის ბრძოლაში. ჩვენ დიდად მადლიერნი ვართ პირველი თაობის კომკავშირელებისა, რომლებმაც კომუნისტებთან, ხალხის საუკეთესო შვილებთან ერთად მოიპოვეს და დაიცვეს საბჭოთა ხელისუფლება.

ამხ. სემიჩასტნი ეხება კომკავშირის მონაწილეობას სამოქალაქო ომში, სახალხო მეურნეობის აღდგენაში და ხაზგასმით აღნიშნავს, თუ რა ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა კომკავშირის მთელი შემდგომი საქმიანობისათვის ვ. ი. ლენინის სიტყვას რუსეთის კომკავშირის III ყრილობაზე. ეს სიტყვა ისტორიაში შევიდა როგორც მარქსიზმ-ლენინიზმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თეორიული და საპროგრამო დოკუმენტი ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდაში. ამ სიტყვაში უკიდურესი სიცხადით მოცემულია პასუხი ახალგაზრდობის კომუნისტური მოძრაობის მთავარ საკითხებზე. ვ. ი. ლენინმა განსაზღვრა კომკავშირის ადგილი და როლი პროლეტარიატის დიქტატურის სისტემაში, გვიჩვენა მისი მიზნები და ამოცანები, მუშაობის შინაარსი და მეთოდები როგორც კომუნისტური პარტიის თანაშემწისა და რეზერვისა. დებულებანი, რომლებიც ჩამოყალიბებულია ვ. ი. ლენინის სიტყვაში რუსეთის კომკავშირის III ყრილობაზე, ახლაც აშუქებენ კომკავშირის მთელ საქმიანობას.

ახორციელებდნენ რა ლენინის მითითებებს, კომკავშირელები აქტიურად მონაწილეობდნენ პირველი ხუთწლედების საქმეებში. ლენინური კომკავშირი გახდა სოციალისტური მშენებლობის ჭეშმარიტად დამკვრელი ბრიგადა,—ამბობს მომხსენებელი. — საკავშირო ალკკ 350 ათასი წევრი გთხოვნა სოციალიზმის უმნიშვნელოვანეს ახალ მშენებლობებზე და ისინი დაეხმარნენ მათს დამთავრებას სარეკორდოდ მოკლე ვადებში. როგორც კომკავშირის მამაცობისა და შრომითი დიდების სიმბოლო დარჩება საუკუნეებში ლეგენდარული ამურის კომსომოლსკი, ათობით ინდუსტრიული გიგანტი, აღმართული კომკავშირელთა მძლავრი მხრებით.

რთულ და პასუხსაგებ საქმეებს აკეთებდა კომკავშირი სოფლად. მან უდიდესი როლი შეასრულა კოლმეურნეობებში გლეხთა მასობრივ მოძრაობაში, პარტიასთან ერთად ნერგავდა კოლექტიურ საწყისებს სოფლად, აწესრიგებდა საზოგადოებრივი მეურნეობის აღრიცხვას. ფართოდ ცნობილია კომკავშირის დიდი დამსახურება კულტურული რევოლუციის განხორციელებაში.

კომუნისტური პარტიის პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში კომკავშირი იდეურად გამოიწრთო, განმტკიცდნენ მისი ეროვნული რაზმები, გაიზარდა და მისი როლი ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებაში.

მაღლობით აღნიშნა რა კომკავშირისადმი პარტიული ხელმძღვანელობის დიდი მნიშვნელობა, ამხ. სემიჩასტნმ თქვა:

არც ერთი დიდი მოვლენა კომკავშირის ცხოვრებაში არ დარჩენილა პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის ყურადღების გარეშე. საკავშირო ალკკ საქმიანობის საკითხებს ყოველმხრივ იხილავდნენ პარტიული ყრილობები და კონფერენციები. მათს გადაწყვეტილებებში კომკავშირი მუდამ პოულობდა ამომწურავ მითითებებს, რჩევას, სად და როგორ გამოეყენებინა თავისი ძალები, რისთვის მოეხმარებინა თავისი ენერგია. კომკავშირისადმი პარტიის დიდი ნდობის მკაფიო გამოვლინება იყო საკავშირო კპ (ბ) XVIII ყრილობის გადაწყვეტილება პარტიის წესდებაში სპეციალური განყოფილების „პარტია და კომკავშირი“ შეტანის შესახებ.

შესანიშნავი თვისებები, რომლებიც ახალგაზრდობაში პარტიამ დანერგა, განსაკუთრებული ძალით გამოვლინდა დიდი სამამულო ომის მკაცრ წლებში. მომხსენებელი ასახელებს ახალგაზრდა პატრიოტებს, რომლებმაც თავიანთი ახალგაზრდა სიცოცხლე გმირულად შესწირეს სამშობლოს თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას, ასახელებს არალეგალურ კომკავშირულ ორგანიზაციებს, რომლებმაც გმირული ფურცლები ჩაწერეს ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ისტორიაში. ომის წლებში გამოჩენილი მამაცობისა და გმირობისათვის სამნახევარი მილიონი ქალიშვილი და ჭაბუკი დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით. საკავშირო ალკკ შვიდი ათას წევრსა და კომკავშირის აღზრდილს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის, ხოლო სამოცს — ორგზის საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

მოხსენებაში დიდი ადგილი დაეთმო ლენინური კომკავშირის იმ როლს, რომელიც მან შეასრულა, ეხმარებოდა რა ხალხს უფრო სწრაფად აღმოეფხვრა ომის ძმის შედეგები, მიეღწია წარმოების ომამდელი დონისათვის, ხოლო შემდეგ ბევრად გადაეჭარბებინა მისთვის.

საკავშირო ალკკ საქმიანობაზე განსაკუთრებით კეთილნაყოფიერი გავლენა მოახდინეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ და პარტიისა და მთავრობის შემდგომმა ღონისძიებებმა, ამბობს ამხ. სემიჩასტნი. ყრილობამ მოიწოდა ლენინურ კომკავშირს კიდევ უფრო აქტიური მონაწილეობა მიეღოს სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში.

კომკავშირის ისტორიაში, მთელი ჩვენი ხალხის ისტორიაში მკაფიო ფურცლად შევიდა კომკავშირელ მეყამრეთა უმაგალითო გმირობა. მილიონზე მეტი ახალგაზრდა პატრიოტი გამოეხმაურა პარტიის მოწოდებას წასულიყვნენ ალტაის, ყაზახეთის, ციმბირის, ვოლგისპირეთის ველების ასათვისებლად. 350 ათასმა ახალგაზრდა პატრიოტმა მიიღო კომკავშირული საგზურები. ყამირი გახდა ახალგაზრდობის შრომითი და პოლიტიკური წრთობის შესანიშნავი სკოლა.

გამოეხმაურნენ რა პარტიის მოწოდებას, ასეულ ათასობით ქალიშვილი და ჭაბუკი კომკავშირული საგზურებით წავიდა უდიდეს ახალშენებებზე ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ რაიონებში, გიგანტური ელექტროსადგურების, ბრძმედების, ახალი ქალაქების მშენებლობაზე.

ახალგაზრდა მეცხოველეებმა აქტიურად დაუჭირეს მხარი სოფლის მეურნეობის მოწინავეთა პატრიოტულ თაოსნობას — უახლოეს დროში დაეგეწოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ. სოფლის კომკავშირელებმა ერთსულოვნად მოჰკიდეს ხელი სიმინდის მოყვანას.

ამხ. სემიჩასტნი ეხება საკავშირო ალკკ XIII ყრილობის მნიშვნელობას, რომელიც კომკავშირის ისტორიაში შევა, როგორც ყრილობა კომკავშირის შემდგომი მკეთრი მობრუნებისა სამეურნეო საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისაკენ. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმება, ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა ყრილობაზე გახდნენ ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი საპროგრამო დოკუმენტები. საკავშირო ალკკ XIII ყრილობის შემდეგ განვლილმა დრომ დამაჯერებლად გვიჩვენა, რომ ლენინურ კომკავშირს შეუძლია სწრაფად და უნარიანად გადაჭრას დიდი სახალხო სამეურნეო ამოცანები.

ჩვენი საზეიმო პლენუმი დღეს სიხარულით უპატაკებს კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ კომკავშირის ყრილობაზე ნაკისრი ვალდებულებანი წარმატებით სრულდება.

ამხ. სემიჩასტნი ამბობს, რომ საჭიროა კომკავშირში ყოველნაირად განვავითაროთ ინიციატივა და თვითმოქმედება, უფრო ღრმა პროპაგანდა გავუწიოთ ახალგაზრდობაში იმ ახალს, რაც კომუნიზმს მოაქვს, ჩავუნერგოთ მას კომუნისტური საზოგადოების მშრომელი ადამიანის ნიშნები და თვისებები. საჭიროა განვუმარტოთ ახალგაზრდობას, რომ პირობები, რომლებშიც ის ცხოვრობს, უფლებები, რომლებითაც იგი სარგებლობს—შრომის უფლება და მოზრდილთა თანაბრად შრომის ანაზღაურების უფლება, უფასო განათლებისა და დასვენების, სახელმწიფო სტიპენდიის, უფასო სამედიცინო დახმარების უფლება და ბევრი სხვა რამ, — ყოველივე ეს მიღებულია უფროს თაობათა ხელიდან, მოპოვებულია უდიდეს ღონისძიებათა და შეუპოვარი შრომის ფასად. ვერ გავამრავლებთ სახალხო სიმდიდრეს, თუ არ დავაფასებთ და არ გავუფრთხილდებით მას.

ჩვენს პლენუმს, ამბობს ამხ. სემიჩასტნი, ესწრებიან რევოლუციის ვეტერანები, სახელოვანი ლენინური გვარდიის წარმომადგენლები. ნება მიბოძეთ ყველა საბჭოთა კომკავშირელის სახელით მხურვალე მადლობა ვუძღვნა მათ და მათი სახით ყველა ძველ კომუნისტს იმისათვის, რომ ისინი განუწყვეტლივ მუშაობენ ახალგაზრდობის აღზრდისათვის, გადასცემენ მას თავიანთ ცოდნას, თავიანთ მდიდარ ცხოვრებისა და რევოლუციურ გამოცდილებას.

მომხსენებელი შეეხო ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერული ორგანიზაციის საქმიანობას, რომელსაც საკავშირო ალკკ ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტიის დავალებით, ყველაზე ნორჩი თაობის შრომითი აღზრდის საკითხებს.

კომუნისტური პარტია მუდამ ზრდის კომკავშირს, მთელ საბჭოთა ახალგაზრდობას მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობის სულისკვეთებით, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. წლითიწლობით ფართოვდება კომკავშირის საერთაშორისო ურთიერთობა. უაღრესად მჭიდრო მეგობრობით დაკავშირებულია იგი ჩინეთისა და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოთა ქალიშვილებთან და ჭაბუკებთან, კაპიტალისტური ქვეყნების კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირებთან.

მომხსენებელი ლაპარაკობს საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის უდიდეს განვითარებაზე, ინდუსტრიის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის წარმატებებზე, რომლებმაც მთელ მსოფლიოს უჩვენეს მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობა. ცხოვრებამ ცხადყო, ამბობს იგი, თუ რა დიდად მართალი იყო პარტია, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტი, ამხელა და გაბედული რა გამოიშალა საქმიანობა მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვისა და მათთან მიმხრობილი შეპილოვის ანტიპარტიული ჯგუფისა, რომელიც ცდილობდა წინააღმდეგობა გაეწია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის პოლიტიკური კურსისათვის, ჩაეფუშა პარტიის უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია ჩვენი სახელმწიფოს ეკონომიური ძლიერების გადიდება, საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესება.

შემდეგ ამხ. სემიჩასტნი ლაპარაკობს საბჭოთა ხალხის თვალსაჩინო მიღწევებზე ლიტერატურის, მუსიკის, სახვითი ხელოვნების დარგში. კომკავშირი ამაყობს, ამბობს იგი, რომ საბჭოთა კულტურის გამოჩენილ ოსტატთა შორის ძლიერ ბევრია ახალგაზრდობა.

ამხ. სემიჩასტნი ეხება საკითხს პასტერნაკისათვის ნობელის პრემიის მიკუთვნების შესახებ, რომელიც გამოვიდა თავისი ანტისაბჭოთა ცილისმწამებლური „ნაწარმოებით“. პასტერნაკმა ისე გაახარა ჩვენი მტრები, რომ მას უბოძეს ნობელის პრემია, ანგარიში არ გაუწიეს რა მისი უბადრუკი წიგნის მხატვრულ ღირსებებს. ეს კაცი ცხოვრობდა ჩვენს შორის, ახლა კი აიღო და სახეში მიაფურთხა ხალხს. პასტერნაკი, თქვა მომხსენებელმა, არის შინაური ემიგრანტი და დაე ყოფილიყო ნამდვილი ემიგრანტი, წასულიყო თავის კაპიტალისტურ სამოთხეში, დარწმუნებული ვარ, ამბობს ამხ. სემიჩასტნი, რომ არც საზოგადოებრიობა და არც მთავრობა არავითარ დაბრკოლებას არ შეუქმნიდნენ მას, არამედ, პირიქით, მიიჩნევდნენ, რომ მისი ეს წასვლა ჩვენი წრიდან გასუფთავებდა ჰაერს.

შემდეგ ამხ. სემიჩასტნი ამბობს, რომ კომკავშირმა თავისი ისტორიის ორმოცი წელიწადში ცოტა პატრიოტული საქმე როდი გააკეთა და ამით დაიმსახურა პარტიის, მთელი ჩვენი ხალხის მადლობა და უდიდესი სიყვარული. კომკავშირის დამსახურებამ მაღალი შეფასება მიიღო. დღეს საკავშირო ალკკ წითელ დროშაზე ბრწყინავს ხუთი ორდენი — სამშობლოს ხუთი მაღალი ჯილდო. ეს ჯილდოები მოუწოდებენ ახალგაზრდა თაობას წინ, ლენინურ კომკავშირს გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი. მისალმების გულთბილი სიტყვებით მიმართავენ საბჭოთა კავშირის კომკავშირელებს სოციალისტური ქვეყნების: ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ალბანეთის, ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის მოძმე ახალგაზრდობის კავშირთა წარმომადგენელნი. ყველა კონტინენტის მილიონობით ქალიშვილისა და ჭაბუკის სახელით საკავშირო ალკკ-ს მიესალმება დემოკრატიული ახალგაზრდობის მსოფლიო ფედერაცია.

ამხ. მესიანეევი მადლობას უძღვნის ყველას, ვინც ამ დღეს სადღესასწაულო მოლოცვა გამოუგზავნა ლენინურ კომკავშირს, უსურვებს მათ წარმატებას მუშაობაში.

ერთსულოვანი ტაშით ხვდებიან პლენუმის მონაწილენი საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების დელეგაციას. საბჭოთა შეიარაღებული ძალების მეომართა სახელით სიტყვას ამბობს საბჭოთა კავშირის სამგზის გმირი ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი ა. ი. პოკრიშკინი — ლენინური კომკავშირის აღზრდილი. — საბჭოთა მეომრები, — ამბობს იგი, — მოხარული არიან ამ დღეს მოახსენონ პლენუმს, რომ საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების მთელმა პირადმა შემადგენლობამ, კომუნისტური პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ დარაზმულმა, ახალ წარმატებებს მიაღწია საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში, ჯარების საბრძოლო მზადყოფნის შემდგომ ამაღლებაში. კომკავშირელი მეომრები გამოდიან საბრძოლო ტექნიკის ჩინებულად ათვისების ინიციატორებად, იბრძვიან მომიჯნავე სპეციალობათა დაუფლებისათვის,

ამხ. პოკრიშკინი ლაპარაკობს იმაზე, რომ კომკავშირის შეფობა სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტსა და სამხედრო-საჰაერო ძალებზე დიდ როლს ასრულებს ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაში, ხოლო ქალაქებისა და სოფლების ახალგაზრდობის მუდმივი მზარდი კავშირი საბჭოთა მეომრებთან იდეურად ამდიდრებს მეომრებს და ახალი წარმატებებისათვის აღფრთოვანებს მათ.

თავმჯდომარე სიტყვას აძლევს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს, რომელსაც საზეიმო პლენუმის მონაწილენი მხურვალედ შეხვდნენ.

სიტყვის დამთავრების შემდეგ ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი კითხულობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მისალმებას საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირისადმი.

დარბაზში გაისმის მჭეხარე ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან. გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს!“, „დიდება მშობლიურ კომუნისტურ პარტიას!“, „დიდება მშობლიურ საბჭოთა მთავრობას!“, „გაუმარჯოს დიად სამშობლოს!“, „დიდება საბჭოთა ხალხს—შემოქმედს!“.

საზეიმო პლენუმის მონაწილეებმა უდიდესი აღფრთოვანებით მიიღეს საბჭოთა კავშირის კომკავშირელთა, ქალიშვილთა და ჭაბუკთა წერილი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი. ამ წერილს განხილვაში მონაწილეობა მიიღო 44 მილიონზე მეტმა კაცმა. საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. ე. სემიჩასტნი გადასცემს წერილის ტექსტს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს. მიიღო რა ტექსტი საბჭოთა კავშირის კომკავშირელთა, ქალიშვილთა და ჭაბუკთა წერილისა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მინისტრთა საბჭო დარწმუნებული არიან, რომ ყველაფერი, რაზეც ლაპარაკია წერილში, განხორციელებულ იქნება.

შემდეგ გამოვიდა ამხ. სემიჩასტნი, რომელმაც კომკავშირელთა და ახალგაზრდობის სახელით პირობა დადო, რომ ჩვენი ქვეყნის ქალიშვილები და ჭაბუკები ყველაფერს გააკეთებენ, რათა კვლავაც იყვნენ პარტიის ერთგული და ყველაზე საიმედო თანაშემწენი კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში.

დარბაზში რამდენიმე წუთს გრძელდება მჭეხარე ოვაციები. კვლავ გაისმის მისალმების შეძახილები კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის პატივსაცემად, საბჭოთა ხალხის პატივსაცემად, სახელოვანი საბჭოთა ახალგაზრდობის პატივსაცემად. საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირის 40 წლისთავის გამო.

ეს არის გულითადი წერილები და დეპეშები პარტიული, კომკავშირული, პიონერული, სპორტული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ნაწილებისა და შენაერთებისაგან, ჭაბუკებისა და ქალიშვილებისაგან, კომკავშირის მიერ აღზრდილ უფროს თაობათა წარმომადგენლებისაგან.

საკავშირო ალკკ სახელზე მრავალი მისალმება მიღებულია საზღვარგარეთიდან. მხურვალედ ულოცავენ დღესასწაულს და ახალ წარმატებებს უსურვებენ ლენინურ კომკავშირს.

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საზეიმო პლენუმის მონაწილეთა სახელით, მთელი კომკავშირის სახელით, ყველა საბჭოთა ქალიშვილისა და ჭაბუკის სახელით, ამხ. სემიჩასტნი უდიდეს, გულითად მადლობას უხდის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს, საბჭოთა მთავრობას მამობრივი ზრუნვისათვის მოზარდ თაობაზე, აგრეთვე ყველა პარტიულ ორგანიზაციის დიდი ზრუნვისა და ყურადღებისათვის კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობისადმი.

დამსწრეთა ტაშის გრიალში ამხ. სემიჩასტნი ამბობს:

დღეს ჩვენ საქვეყნოდ ვაძლევთ პირობას პარტიას, მის ლენინურ ცენტრალურ კომიტეტს, რომ ვიშრომებთ კიდევ უფრო შეუპოვრად, არ დავიშურებთ ძალებს!

ჩვენ ბეჯითად ვისწავლით პარტიისაგან დისციპლინასა და ორგანიზებულობას, გადმოვიღებთ მას უმდიდრეს რევოლუციურ გამოცდილებას, მის გმირულ ტრადიციებს!

ჩვენ კიდევ უფრო მჭიდროდ დავრაზმავთ ახალგაზრდობას დიდი ლენინის უძლეველი დროშის ქვეშ!

ჩვენ საქვეყნოდ ვაძლევთ პირობას პარტიას, რომ საკავშირო ახალგაზრდობის ლენინური კომუნისტური კავშირი კვლავაც აღზრდის მტკიცე ლენინელებს, დიდი კომუნისტური იდეალების გამარჯვებისათვის მგზნებარე, აქტიურ მებრძოლებს.

დასასრულ ამხ. სემიჩასტნი გამარჯვებას უსურვებს ჩვენს საყვარელ სოციალისტურ სამშობლოს, საბჭოთა კავშირის მძლავრ, უძლეველ, გმირ, ლენინურ კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს.

თავმჯდომარე აცხადებს, რომ საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საზეიმო პლენუმის მისასალმებლად მოვიდნენ ნორჩი პიონერები. გაისმის პიონერთა საყვირისა და დოლის ხმა. დარბაზში შემოდიან ნორჩი ლენინელები. მათ მოაქვთ მოკავშირე რესპუბლიკების დროშები, პიონერული ალმები. ბავშვები ჩამწკრივდნენ პრეზიდიუმის ორივე მხარეს.

გაისმის ბავშვთა წკრიალა ხმები. ბავშვები აღფრთოვანებით კითხულობენ მისალმებას ლექსად:

კომკავშირო,
ხალხის შვილო, ძვირფასო,
შეგობარო,
ნორჩი პიონერების
აი, შენსკენ გამოწვდილა სალამით
დღეს ლენინელ
შვილიშვილთა ხელები!
შენ ხარ ჩვენი მეთაური მზრუნველი,
აქ ფრიალებს ფრთაწითელი ალამი,
რაზმებისგან, კომკავშირო, მიიღე
პიონერთა გულთბილი სალამი.

მოკავშირე რესპუბლიკების პიონერები უპატაკებენ თავიანთ უფროს ამხანაგებს სწავლისა და საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობის შესახებ.

პატარა თვითმგორავებით, ველოსიპედებით შემოდიან პაწია ოქტომბრელები. ისინი კითხულობენ ლექსებს, რომლებშიც კომკავშირს უსურვებენ მუდამ იყოს ისეთივე ახალგაზრდა, როგორიც იგი იყო მთელი თავისი ორმოცი წლის მანძილზე.

ერთი წუთი და რიგებში ჰქუხს ოვაცია: პიონერები ყვავილებს გადასცემენ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელებს, პლენუმის პრეზიდიუმის წევრებს.

საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ნ. მესიანეევი აცხადებს, რომ პრეზიდიუმმა მრავალი მისალმება და მილოცვა მიიღო ლენინური კომკავშირის 40 წლისთავის გამო.

ეს არის გულითადი წერილები და დეპეშები პარტიული, კომკავშირული, პიონერული, სპორტული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ნაწილებისა და შენაერთებისაგან, ჭაბუკებისა და ქალიშვილებისაგან, კომკავშირის მიერ აღზრდილ უფროს თაობათა წარმომადგენლებისაგან.

საკავშირო ალკკ სახელზე მრავალი მისალმება მიღებულია საზღვარგარეთიდან. მხურვალედ ულოცავენ დღესასწაულს და ახალ წარმატებებს უსურვებენ

# შეჯიბრების მოწინავენი

## გარსევან გურგენიძე — რთული ყალიბების ოსტატი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI და საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობის აღსანიშნავად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში ასობით დაწინაურდა თავისი საქმის შესანიშნავი ოსტატი. ერთი მათგანია ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის № 1 სამსხმელო სამჭედროს მეყალიბე გარსევან ბურჭულაძე.

„რთული ყალიბების ოსტატი“ — ასე ეძახიან, ასე იცნობენ გარსევანს არა მარტო საამქროში, არამედ მთელ ქარხანაში.

როცა ქარხანას ახალი კვანძებისა და რთული დეტალების დამზადება სჭირდება, ჩვეულებრივად გამოცდილ მეყალიბეს გ. ბურჭულაძეს მიმართავენ ხოლმე. ასე მიანდეს მას, მაგალითად, ჩაის საკრეფი მანქანისა და თვითმავალი შასის, საბალო-სასალანტაციო ტრაქტორის „რიონის“ რთული დეტალებისათვის საჭირო სხმულების მისაღებად ყალიბების მომზადება. და ბურჭულაძის მიერ მომზადებულ ყალიბებში მსხმელები ყოველთვის უზადო, სუფთა ზედაპირული სხმულის მიღებას აღწევენ.

მოწინავე მეყალიბემ კარგად იცის, რომ ხამსხმელო წარმოებაში მთავარია მაღალხარისხოვანი ყალიბებისა და კოპების დამზადება. ამიტომ იგი დიდ ყურადღებას აქცევს ყალიბების დამზადების ტექნოლოგიის სრულყოფას.

გამოცდილი ოსტატი ჩინებ ლად ერკვევა ტექნიკურ ნახაზებში. მიიღებს რა მოდელს და ტექნოლოგიურად დამუშავებულ ნახაზებს, გ. ბურჭულაძე სწრაფად და ზუსტად საზღვრავს, თუ როგორ უნდა დამზადდეს დეტალის ყალიბი, როგორია ნამატის მოცულობა. იგი დეტალში ოსტატურად აკეთებს საყალიბო მიწის ჩანაჭრებს, რომ მიღებული სხმულის ზედაპირი სუფთა იყოს.

სამუშაო დროის მაქსიმალურად გამოყენება, შრომის კარგი ორგანიზაცია, სხვადასხვა ოპერაციების უნარიანად, მოფიქრებულად და ზუსტად შესრულება, მეყალიბისა და მეკოპის ორი მომიჯნავე პროფესიის ზედმიწევნით ცოდნა — აი გ. ბურჭულაძის წარმატებათა „საიდუმლოება“.

დგას რა შრომითს ვახტზე, გ. ბურჭულაძე ყოველდღიურად ოთხ ნორმას ასრულებს, ამასთან



გ. ბურჭულაძე.

* * *

მაღალხარისხოვან ყალიბებს ამზადებს.

რთული ყალიბების ოსტატი წარმოების რაციონალიზატორიც არის. განსაკუთრებით საგულისხმოა მისი წინადადება, რომელიც შეეხება ყალიბების საშრობ ღუმელში ერთის ნაცვლად ორი თაროს მოწყობას. ამ წინადადების განხორციელებით მაქსიმალურად იქნება გამოყენებული საშრობი ღუმელის მოცულობა, ამასთან დაჩქარდება ყალიბების გაშრობა. ღუმელის ასე მოწყობა დიდ ხარჯს არ მოითხოვს, სამაგიეროდ სამანქანო დროისა და საწვავის მნიშვნელოვან ეკონომიას იძლევა, ერთიანორად ზრდის შრომის ნაყოფიერებას.

გ. ბურჭულაძემ რთული ყალიბების დამზადება შეასწავლა ათობით ახალგაზრდა მეყალიბეს. ამ თვენახევრის წინათ ივი მეყალიბეთა № 1 ბრიგადის ხელმძღვანელად დაიწინაურეს. მისი ბრიგადა, რომელიც ძირითადად სახელოსნო სასწავლებლის ახალ კურსდამთავრებულთაგან შ

# რეაქციული პროპაგანდის ხმაური ლიტერატურული სარევეზელის გარშემო

სოციალისტური კოლექტივიზმის საწყისებით გამსჭვალულია საბჭოთა საზოგადოების მთელი ცხოვრება. დიდი ხანია საქმით უარყოფილია ცრუ ბურჟუაზიული ლეგენდა, თითქოს სოციალიზმი მტრულია პიროვნებისადმი, თითქოს იგი შლის და აუპიროვნებს ინდივიდუალობებს და აბრკოლებს ორიგინალური ადამიანებისა და ხასიათების შემოქმედებითს განვითარებას. პირიქით, სწორედ სოციალიზმის დროს, სწორედ სოციალისტური კოლექტივიზმის ატმოსფეროში იქმნება ყველა პირობა შემოქმედებითი ინდივიდუალობის უფრესად სრული განვითარებისათვის, ორიგინალური და თავისებური აზრის აყვავებისათვის. სოციალიზმისადმი მტრული ბურჟუაზიული წრეებიც კი იძულებული იყვნენ ელიარებინათ ეს ჭეშმარიტება, როცა საბჭოთა ინტელიგენცია მთელი მსოფლიოს წინაშე წარსდგა მეცნიერებისა და კულტურის დღემდე უმაგალითო მიღწევების შარავანდედით მოსილი. საბჭოთა კოლექტივიზმი საბჭოთა ადამიანების ამაყი პატრიოტული შეგნების წყაროა. ეს არის მაღალი გრძნობებისა და იდეების, თავისი ხალხისადმი კეთილშობილური სამსახურის სკოლა, სკოლა, რომელშიაც საბჭოთა თაკარა ადამიანი იზრდება.

მაგრამ ჯერ კიდევ არიან, ჯერ კიდევ გვხვდებიან ცალკეული ეგზემპლარები ბურჟუაზიული „ინდივიდუალისტების“ გადაშენებული ჯიშისა, წვრილი მესაკუთრეებისა და მეშჩანებისა, რომლებმაც რევოლუციის ორმოცზე მეტი წლის მანძილზე თავიანთ ხელში გამოატარეს ღრმა მტრობა სოციალისტური კოლექტივისადმი. ამ დრამოჭმული იდეოლოგიის მატარებლები ზოგჯერ ლიტერატურაშიც კი გვხვდებიან. ასეთ მწერალს, რომელიც მძლავრ სოციალისტურ გრძნობას „ჩვენ“-ს უპირველესად თავის თვითშეყვარებულ „მე“-ს, თავისი თავი წარმოუდგენია ინდივიდუალიზმის „გმირად“, ნამდვილად კი წვრილბურჟუაზიული მესაკუთრეა, რომელიც თავისი სტომაქის ინტერესებს ძველი მოდის სიტყვიერების ჭრელი სამოსელით ფარავს.

ასეთ ადამიანებს, რომლებიც ეალერსად უცხონი არიან საბჭოთა საზოგადოებისათვის, გულში ჩახვეული აქვთ მტრობა მისადმი და ამ საზოგადოებაში თავს „ზედმეტად“ გრძნობენ.

ასეთი ზედმეტი ადამიანი განმარტოებული-ინდივიდუალი საბჭოთა ლიტერატურაში აღმოჩნდა მწერალი ბ. პასტერნაკი. ოდესღაც იგი საკმაოდ ნიჭიერი პოეტი იყო. მაგრამ ლიტერატურაში პირველი ნაბიჯებიდანვე იგი ანტირეალიზმის უნაყოფო გზას დაადგა. მის ადრინდელ ლექსებში აისახა ის ათეული წელი, რომელსაც ა. ბ. გორკი უწოდებდა „ყველაზე საძულველს“ რუსი ინტელიგენციის ისტორიაში. ეს ის დრო იყო, როდესაც სოციალიზმისა და დემოკრატიის რენეგატები „ნიშანსეტებით“ აღნიშნავდნენ თავიანთი იდეური დაცემის გზას და თავიანთი მეშჩანური „სულის“ უმაღლეს გამოხატულებად მიაჩნდათ ის, რომ ელანძღათ რუსი ხალხისა და რუსული რევოლუციური მოძრაობის მთელი წარსული. ეს ის დრო იყო, როდესაც ყველა ჯიგის დეკადენტები, სიმბოლისტები, ფუტურისტები ცდილობდნენ მოიწმალათ რუსული ლიტერატურა რეაქციული ბურჟუაზიის სულიერი ხრწნის შხამით.

ბ. პასტერნაკი მათს რიცხვს ეკუთვნოდა. მის ლექსებს მისი თაყვანისმცემლები იწონებდნენ სწორედ იმიტომ, რომ ისინი შორს იყვნენ ყოველგვარი რეალიზმისაგან, საერთო არა ჰქონდათ რა ხალხის ცხოვრებასთან და თავიანთი სიმძიმით, განზრახი სირთულითა და ჭკუამიდმეფროპით უცხონი იყვნენ რუსული ლიტერატურული მეტყველების მკაფიო და წმინდა წყობისათვის. ამ რთული და უხეირო რითმებს გახსნა ძნელი იყო, ხოლო თუ ეს ხერხდებოდა, აღმოჩნდებოდა ხოლმე, რომ მათ საფუძვლად უდევთ უბადრუკი, რაიმე მნიშვნელოვნობას მოკლებული აზრი. იდეური აღრევა პოეტის თავში მხოლოდ პოეტური ენის უფორმობით შეიძლებოდა გამოხატულიყო.

რუსი ინტელიგენციის, რუსული ლიტერატურის, რუსული ხელოვნების სატკივარი, მოწინავე ნაწილმა, როგორც ცნობილია, უდიდესი თანაგრძნობით მიიღო სოციალისტური რევოლუცია და მთელი თავისი ძალები მოახმარა ხალხისადმი პატიოსან სამსახურს. ისტორიულ ბრძოლა ახალი წყობილებისათვის, ბურჟუაზიული რეაქციის გაერთიანებული ძალების წინააღმდეგ, გმირობა საბჭოთა ხალხისა, რომელიც გამოვიდა ძალადობის, სისხლისა და სიბილწის სამყაროს წინააღმდეგ ორთაბრძოლაში, იტაცებდა და აღფრთოვანებდა პოეტებს, მწერლებს, მხატვრებს. გორკი და მაიაკოვსკი სათავეში ედგნენ საბჭოთა ინტელიგენციის ამ მოძრაობას, განზე შეიძლებოდა დარჩენილიყვნენ მხოლოდ ისინი, რომლებსაც ბურჟუაზიული ხრწნის განწყობილებამ გამოაცალა ყოველივე ცოცხალი.

პასტერნაკი ცდილობდა მიმხრობოდა ამ მოძრაობის. გარდაქმნილიყო, გამხდარიყო მისი პირდაპირი მონაწილე თუ არა თანამგზავრი მაინც, როგორც ოდესღაც იტყოდნენ ხოლმე. მან დაწერა პოემები „1905 წელი“, „ლეტენანტი შმიდტი“ — მათში შეიძლებოდა ამოგეკითხა თანაგრძნობა რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობისადმი. მაგრამ პასტერნაკი ამას არ გასცილებია. მტრობა მარქსიზმისადმი ფილოსოფიაში, მტრობა რეალიზმისადმი ლიტერატურაში მეტად ღრმად ჰქონდა გამჯდარი ამ თავიდან ბოლომდე ბურჟუაზიულ ინტელიგენტს. ჩვენი ქვეყანა ზედიზედ აღწევდა კამარჯვებებს, სოციალისტური შენებლობის საფუძველზე იზრდებოდა და იქმნებოდა ახალი კულტურა, იზრდებოდნენ ახალი ადამიანები. ყველაფერი იცვლებოდა პაატერნაკის გარშემო — იგი უცვლელი რჩებოდა. იგი სულ უფრო და უფრო ჩამორჩებოდა ცხოვრებას, რომელიც წინ მიდიოდა. იგი გრძნობდა, რომ აღარაფისათვის აღარ იყო საჭირო და საინტერესო. მით უფრო გააფთრებული ხდებოდა მისი სიძულვილი რევოლუციისადმი, საბჭოთა სინამდვილისადმი.

იგი ვეღარ პოულობდა საჭირო სიტყვებს იმისათვის, რომ გამხდარიყო ნამდვილი საბჭოთა მწერალი, რომლისთვისაც ხალხისადმი სამსახური წმიდა ვალი და პირველი მოვალეობაა. ყველაფერი ეს ფუჭი სიტყვები იყო საკუთარი თავით მოხიბლული ნარცისისათვის. მას მიაჩნდა, რომ ყველანი მტყუანნი იყვნენ, მხოლოდ თვითონ იყო მართალი თავის ლიტერატურულ ქუჩაბანდში. იგი თითქმის ჩაჩუმდა და მის ამ ლიტერატურულ-მხატვრულ უძლურებას მისი უგუნური თაყვანისმცემლები სოციალისტური რეალიზმისადმი ამაყ ოპოზიციად ასაღებდნენ.

პასტერნაკს არ უნდოდა ეცნო სოციალისტური რევოლუცია და საბჭოთა „ყაბარი, ისევე როგორც ჩვენდამი მტრულ რეაქციულ მთავრობას არ უნდოდათ ეცნოთ ჩვენი სახელმწიფო. პაატერნაკს გული მოსდიოდა რევოლუციაზე, რუსული ირონიული ანდაზა ლაპარაკობს ერთ ბებერზე, რომელსაც „სამ წელიწადს მოსდიოდა გული ბატონ დიდ ნოვგოროდზე, მას კი ეს არც შეუმჩნევიაო“. პასტერნაკი აი უკვე ორმოცი-ერთი წელია „გულმოსულია“ საბჭოთა საზოგადოებაზე, საბჭოთა ლიტერატურაზე, ხოლო დიდ საბჭოთა ხალხს ეს არც კი შეუმჩნევია. და ეს კიდევ უფრო მეტად აღიზიანებდა პასტერნაკს ყოველივე საბჭოურის წინააღმდეგ. მას ეჩვენებოდა, რომ ქვეყნად არაფერია უფრო დიდმნიშვნელოვანი, ვიდრე განცდები ინტელიგენტისა, რომელიც ცხოვრებამ გარიყა, უფრო სწორად, რომელიც თვითონ გაირიყა ცხოვრებიდან. მაგრამ ეს წვრილმანი სნობიზმი, რომელიც წარმოადგენს ძველი პაროდიების პაროდიას, არავის არ აინტერესებდა და ვერც დააინტერესებდა საბჭოთა ცხოვრებასა და ლიტერატურაში.

სავსებით ცხადია, რომ საკუთარი ინდივიდუალიზმის ბნელ კუთხეში ხანგრძლივად ყოფნამ პასტერნაკს ჩაუკლა საბჭოთა ხალხისადმი კეთილგანწყობილების ყოველი შეგნება, ჩაუკლა საბჭოთა მოქალაქისა და პატრიოტის ღირსების გრძნობა, რაც ესოდენ ჩვეულია ჩვენთვის. მან თვითონ მოაწყო თავისთვის ემიგრანტულის მსგავსი არსებობა. მან ცოცხალი კავშირი გაწყვიტა საბჭოთა მწერლების კოლექტივთან.

თავისი ასეთი განწყობილებით მან რეაქციული ბურჟუაზიული პრესის ყურადღება მიიპყრო. უცხოეთის გაზეთების საეკვო კორესპონდენტები ბუზებივით დაეხვივნენ პასტერნაკს. მასზე ავრცელებდნენ სულელურ ხმებს, ვითომ იგი თავისებური „წამებულია“, რომ მას „სდევნიან“, რომ მას ვითომ არ აძლევენ წერის საშუალებას და სხვ. ჩვენთან ჩამოსული უცხოელები ინახულებდნენ ხოლმე პასტერნაკს და რწმუნდებოდნენ, რომ ყველა ეს ხმები წმინდა წყლის სიცრუეა. არასოდეს და არავისგან არ განუცდია პასტერნაკს რევნოესი, მას არავინ არ სდევნიდა. მწერალთა ორგანიზაციები დიდ შემწყნარებლობას იჩენდნენ მისდამი, ვარაუდობდნენ რა, რომ შესაძლოა ეს უკვე ხანშიშესული მწერალი როდისმე გონს მოვიდოდა. უცხოელები ხედავდნენ, რომ პასტერნაკი ძალიან კარგად ცხოვრობს საბჭოთა პირობებში, უზრუნველყოფილია ყველაფრით, რაც აუცილებელია, იღებს დიდ ჰონორარს კლასიკოსების ნაწარმოებთა თარგმნისათვის, აქვს თავისი დიდი აგარაკი და რომ საერთოდ ყოველ დასავლეთევროპელ ან ამერიკელ მწერალს შეშურდებოდა მისი მდგომარეობა.

რეაქციულმა პრესამ იწყო პასტერნაკის შესახებ სხვა ლეგენდის შექმნა: ვითომ ის დიდი მწერალია, რომლისაც ვერ გაუგიათ, რომელიც არ არის აღიარებული და რომელსაც შეეძლო შეექმნა გენიალური ნაწარმოებები, ამას რომ არ ეწინააღმდეგებოდეს „სოციალისტური რეალიზმის ტირანია“. ეს კომიკური ლეგენდაა. გაზეიადებას მასში კარიკატურული ხასიათი აქვს. არავინ არ უარყოფს პასტერნაკის ლიტერატურულ ნიჭს, მაგრამ ეს ნიჭი მეტად შეზღუდულია და არასოდეს თავის ოქროს ხანაშიც კი პასტერნაკი არ ითვლებოდა პირველი კლასის ოსტატებს შორის.

ყოველი პატიოსანი საბჭოთა მწერალი უდიდესი ზიზღით შეხვდებოდა ჩვენი სამშობლოს მტრების ქათინაურებს. იგი ადვილად გამოიცნობდა ამ განზრახსა და იაფ რეკლამაში პოლიტიკურ აქცენტს. არა როგორც მწერალ პასტერნაკს, არამედ როგორც გაბოროტებულ ობივატელ პასტერნაკს ელოლიავებოდნენ და მიესალმებოდნენ სოციალიზმისა და დემოკრატიის მძრახველები. მაგრამ პასტერნაკს, პირიქით, ესიამოვნებოდა რეაქციული ბურჟუაზიის ეს ქება. მას ეჩვენებოდა, რომ იგი, წინასწარმეტყველი, რომელიც აღიარებული არ არის საკუთარ სამშობლოში, შეიძლება უცხო, ბურჟუაზიული სამშობლოს წინასწარმეტყველი გახდეს. ბოლმა, რომლითაც ალსავსე იყო ზედმეტი ადამიანის სული, გამოსავალს ეძებდა — და კიდეეაც იპოვნა. პასტერნაკმა დაწერა დიდი რომანი სათაურით „ექიმი ჟივაგო“. ეს არის გესლიანი პასკვილი სოციალისტურ რევოლუციაზე, საბჭოთა ხალხზე, საბჭოთა ინტელიგენციაზე. გაბოროტებულმა ობივატელმა წნგაზე მიუშვა თავისი შურისმაგებელი გალიზიანება. იგი ცდილობდა ჩირქი მოეცხო ყოველივე იმ ახლისათვის, რაც რევოლუციამ მოიტანა; გაემართლებინა და აემაღლებინა ყოველივე ძველი, კონტრრევოლუციური, თითქმის ხატისებურად სახადა თეთრგვარდიელობას. რომანის გმირია რუსი ბურჟუაზიული ინტელიგენტი, წვრილმანი გრძნობებითა და ქვენა ზრახვებით გამსჭვალული მეშჩანინი. დიდმა რევოლუციამ ამოაგდო იგი კალაპოტიდან, წაართვა ოჯახური მყუდროება, მას დააკლეს რაღაც ულუფა და ეს ვერ აპატია საბჭოთა ხალხს. კლასობრივი ჩაგვრის ბურჟუაზიული წყობილება მისთვის წმიდათაწმიდად დარჩა, ხოლო მუშათა კლასში იგი მხოლოდ მხეცისსახიან ბრბოს ხედავდა. პასტერნაკის როგორც ავტორის სიმპათია კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის ნაშიერის მხარეზეა.

შჩედრინის სატირულ გმირებს შორის არის პერსონაჟი, რომელიც იმდენად პატარა ტანისა იყო, რომ ვრცელს ვერაფერს ვერ იტევდა. თავისი მხატვრული აღქმის სიწვრილმანის გამო პასტერნაკიც ვერ იტევდა სოციალისტური რევოლუციის იდეას.

რუსეთში ჩამოსული ბევრი ბურჟუაზიული მეთვალყურე ვერ მალავდა თავისი განცვიფრებას ისტორიული მოვლენების გრანდიოზული გაქანების, მათი სიღრმის წინაშე. ისინი, სოციალიზმის მოწინააღმდეგენი, ჯეროვნად აფასებდნენ მუშათა კლასის გმირობას, პარტიისა და მთავრობის განზრახულობათა სიდიადეს. ჰერბერტ უელსს რუსეთი ბურუსში გახვეული ეჩვენებოდა, მაგრამ იგი აღტაცებით ლაპარაკობდა ხალხის გმირობაზე, კრემლის „მეოცნებეებზე“, რომლებმაც მსოფლიოს გარდაქმნა განიზრახეს. ამ ამბების თანამედროვემ ბ. პასტერნაკმა კი ვერაფერი ვერ დაინახა, ვერაფერი ვერ გააგო დიდ რევოლუციაში და ახლა, ორმოცი წლის შემდეგ, იგი ღვარძლიანად სწამებს მას ცილს. ეს მოწმობს მხოლოდ მისი საკუთარი სამყაროს უკიდურეს უბადრუკობას. მის უაღრესად ბურჟუაზიულ შეზღუდულობას.

სასაცილოა ითქვას, მაგრამ მორალურად მახინჯ, გაბოროტებისაგან გამოყუჩებულ თავის ექიმ ჟივაგოს პასტერნაკი ასაღებს ძველი რუსი ინტელიგენციის „საუკეთესო“ წარმომადგენლად. ეს მოწინავე ინტელიგენციისათვის ცილის დაწამებაა, იმდენადვე უხამსი, რამდენადაც უნიჭო. ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილი იმ ხანებში ტიმირიაზევთან, პავლოვთან, მიჩურინთან, ციოლკოვსკისთან ერთად იყო. ამჟამად მთელი სამყაროა იმის მოწმე, თუ რუსი ინტელიგენციის ძველმა კადრებმა ახალგაზრდა საბჭოთა მეცნიერებთან მჭიდრო თანამეგობრობით თავისი ხალხისადმი ერთგული სამსახურით, როგორ მიაღწიეს უდიდეს, უნაგალითო წარმატებებს მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგში. ეს შეიძლებოდა მომხდარიყო სწორედ იმიტომ, რომ საბჭოთა ხელისუფლება, ჩვენი ხალხი განსაკუთრებით სათუთად ეკეკლუნენ და ეკეკლეიან ინტელიგენციის ძვირფას კადრებს, ეხმარებოდნენ მას, უქმნიდნენ ყველა პირობას შემოქმედებითი განვითარებისათვის. პასტერნაკი კი ღვარძლიანად სწამებს ცილს საბჭოთა ხელისუფლებას, ჩვენს გმირ ხალხს და, საბჭოთა კავშირის მტრების გასახარებლად, ხატავს რუსი ინტელიგენციის დაღუპვის გამოგონებულ სურათს. ჩვენი ცხოვრებისათვის მხოლოდ სრულიად უცხო ადამიანს, რევოლუციამდელი წარსულის ცოცხლად შემორჩენილ ნამსხვრევს, შეეძლო ასე ღვარძლიანად დაეწყევლინა ცილი საბჭოთა ინტელიგენციისათვის!

პასტერნაკის რომანი პოლიტიკური პასკვილია, ხოლო პასკვილი მხატვრული ლიტერატურა როდია. შეიძლება ამოავლო ფუნჯი კუპრში და სქლად წაუსვა ღობეს, მაგრამ ეს ხელოვნება არ არის, კუპრი საღებავი როდია და არც ფუნჯია მხატვრის ყალამი. პასტერნაკის რომანი მდარე რეაქციული პუბლიცისტიკაა, რომელსაც მიცემული აქვს ლიტერატურული ნაწარმოების ფორმა. ამგვარი რომანები და მოთხრობები, რომლებსაც საერთო არა აქვთ რა მხატვრულ ლიტერატურასთან, იბეჭდებოდა თეთრემიგრანტულ ბელეტრისტიკაში ოცი და ოცდაათი წლის წინათ. თეთრემიგრანტები გადაგვარდნენ, მათი ლიტერატურა სავსებით გამოიფიტა და გაქრა, ხოლო საბჭოთა კავშირში მცხოვრები ბ. პასტერნაკი, ეს „შინაგანი ემიგრანტი“, იმეორებს მათს ანა-ბანას. მას ყოველთვის თავი მოჰქონდა თავისი ირონიკული „სინტიფენთ“, აქ კი პრიმიტული ვულგარობა გამოიჩინა.

პასტერნაკს რატომღაც ეჩვენებოდა, რომ დადგა მისი ჟამი, დადგა დრო, როცა მას შეუძლია შური იძიოს საბჭოთა საზოგადოებაზე იმისათვის, რომ ამ საზოგადოებაში იგი აღმოჩნდა საიქიოდან მოსული, სარეველა ბალახი საბჭოთა ყანაში. ჩანს, იგი ეჰყვა იმ გახრწნილ ნოყიერულს, რომელიც სულ მოკლე ხნით მოედო საბჭოთა ლიტერატურის ზოგიერთ აშმორეულ კუთხეს და იმედები გამოუცოცხლდა მის ჭუჭრუტანებში ჩამსხდარ მეშჩანებს. მაგრამ პასტერნაკი შეცდა. ჟურნალ „ნოვი მირის“ რედაქციამ 1956 წლის შემოდგომაზე გადაბეჭდით უარყო ნისი რომანი როგორც აშკარად ანტისაბჭოთა და ანტიმხატვრული ნაწარმოები, და ბ. პასტერნაკისადმი თავის წერილში, რომელიც გუშინ „ლიტერატურნაია გაზეტაში“ იყო გამოქვეყნებული, ვრცლად დაახასიათა ეს პასკვილური თხზულება. ეს გაფრთხილება იყო პასტერნაკისათვის. მან ყურად არ იღო იგი და თავისი რომანის ხელნაწერი გადასცა საზღვარგარეთ, სადაც იგი გამოაქვეყნეს იმ ადამიანებმა, რომლებიც დაადგნენ სოციალიზმის წინააღმდეგ აშკარა ბრძოლის გზას და რომლებმაც ამასთან არაკეთილსინდისიერი მეთოდები გამოიყენეს.

რომანი სენსაციური განძი იყო ბურჟუაზიული რეაქციული პრესისათვის. მას ბოტა შეასხეს საბჭოთა კავშირის ყველაზე აშკარა მტრებმა, სხვადასხვა ჯურის ბნელეთისმოყიქულებმა, ახალი მსოფლიო ომის გამჩაღებლებმა, პროვაკატორებმა. თითქოს წმინდა ლიტერატურული მოვლენიდან ისინი ცდილობენ მოაწყონ პოლიტიკური სკანდალი იმ აშკარა მიზნით, რომ გაამწვავონ საერთაშორისო ურთიერთობა, ნავთი დაასხან „ცივი ომის“ ცეცხლს, დათესონ მტრობა საბჭოთა კავშირისადმი, სახელი გაუტეხონ საბჭოთა საზოგადოებრიობას. სიხარულით აღფრთოვანებულმა ანტისაბჭოთა პრესამ რომანი გამოაცხადა მიმდინარე წლის „საუკეთესო“ ნაწარმოებად, ხოლო მსხვილი ბურჟუაზიის ერთგულმა ლაქიებმა პასტერნაკი ნობელის პრემიით დააჯილდოვეს.

რით მოხიბლა საბჭოთა კავშირისა და სოციალიზმის მტრები ამ რომანმა? თავისი ლიტერატურული ღირსებებით ხომ არა?

არა, ასეთი ღირსებები პასტერნაკის რომანს არა აქვს, და ეს მხარე ყველაზე ნაკლებად აინტერესებდა და აინტერესებს ძველი სამყაროს მესვეურებს. ჭეშმარიტი მოტივები გახსნილია ფრანს პრესის დეპეშათა სააგენტოს, მაგალითად, ასეთ სიტყვებში: „რომანმა მსოფლიოს აჩვენა რუსული სულის სიმტკიცე, მისი რადიკალური წინააღმდეგობა მარქსიზმისადმი და ერთგულება ქრისტიანულ ფასეულობათადმი...“ რეაქციული პრესა ასე აფასებს პასტერნაკის „ლიტერატურულ“ დამსახურებას: „მისი ესთეტიკური გემოვნება, მისი ფილოსოფიური სპირიტუალიზმი მით უფრო იზრდებოდა, რაც უფრო ვრცელდებოდა მის გარშემო მატერიალიზმი...“

ბურჟუაზიული რეაქცია მაშინვე მიუხვდა იმ ტენდენციებს, რომლებითაც გამსჭვალულია პასტერნაკის რომანი. ეს ტენდენციები სწორად ამხილა და მკვეთრად დაგმო „ნოვი მირის“ რედაქციამ, რომელიც, ასაბუთებდა რა თავის უარს დაებეჭდა ანტიმარქსისტული, ანტისაბჭოთა, ანტიკომუნისტური პასკვილი, მიუთითებდა ავტორს: „თქვენი რომანის სულისკვეთება — სოციალისტური რევოლუციის მიუღებლობის სულისკვეთებაა. თქვენი რომანის პათოსი იმის მტკიცების პათოსია, რომ ოქტომბრის რევოლუციამ, სამოქალაქო ომმა და მათთან დაკავშირებულმა შემდგომმა სოციალისტურმა ცვლილებებმა ხალხს არ მოუტანეს არაფერი, გარდა ტანჯვისა, ხოლო რუსეთის ინტელიგენცია ფიზიკურად ან მორალურად მოსპეს“.

ამრიგად, რეაქციულმა ბურჟუაზიამ ნობელის პრემიით დააჯილდოვა არა პასტერნაკი — პოეტი, არა პასტერნაკი — მწერალი, არამედ პასტერნაკი — პასკვილიანტი, რომელმაც ჩირქი მოსცხო სოციალისტურ რევოლუციას და საბჭოთა ხალხს.

იმათ უდიდეს უმრავლესობას, ვინც ახლა ატეხა უხამსი ხმაური, არასოდეს არა სცოდნია და არ წაუკითხავს პასტერნაკი, არ გაუგონია მისი სახელი, არ გამოუჩენია არავითარი ინტერესი მისი მოძველებული ლირიკისადმი. მის შესახებ მათ ხმაური ატეხეს მხოლოდ მის პოლიტიკურ პასკვილთან დაკავშირებით. ზოგიერთს შეგნებული აქვს, რომ რომანი მხატვრულად მეტად სუსტია, პირდაპირ რომ არა ვთქვათ: უნიჭოა. ისინი ცდილობენ მიჩქმალონ ეს, და ლაპარაკობენ პასტერნაკზე როგორც ლირიკოსზე. ამ სიყალბეს შეიცავს დადგენილება ნობელის პრემიის მინიჭების შესახებ. ამ დადგენილების ავტორები ვერ ბედავენ პირდაპირ და აშკარად განაცხადონ, რომ პასტერნაკს მაგარი კოცნით აჯილდოებენ სწორედ მისი რომანის რეაქციულობისათვის. მაგრამ ამის დამალვა შეუძლებელია. მემარჯვენე ფინური გაზეთი „უუსი სუომი“ გულახდილად აღიარებს, რომ პასტერნაკმა — „დღემდე უცნობმა მწერალმა“ — ნობელის პრემია მიიღო არა თავის ნაწარმოებთა მხატვრული ღირსებებისათვის, არამედ პოლიტიკური ტენდენციისათვის.

ეს სავსებით ემთხვევა იმათ ხაზს, ვინც ანიჭებს ნობელის პრემიებს ლიტერატურის დარგში. აქ აჯილდოებდნენ პირწავარდნილ რეაქციონერებს ლიტერატურაში, მებრძოლ ბნელეთისმოყიქულებს, დემოკრატიის მტრებს, ომის მქადაგებლებს. პასტერნაკი მიაკუთვნეს ამ არქირეაქციულ დასს.

ამ პირობებში საბჭოთა სამშობლოს მტრების ხელიდან მიღებული ჯილდო გამოიყურება როგორც შეურაცხყოფა ყოველი პატიოსანი, პროგრესული ლიტერატორისათვის, თუნდაც იგი კომუნისტი არ იყოს, თუნდაც იგი საბჭოთა მოქალაქე არ იყოს, არამედ იყოს ღირსებისა და სამართლიანობისათვის მებრძოლი, ჰუმანიზმისა და მშვიდობისათვის მებრძოლი. ეს შეურაცხყოფა მით უფრო მძიმე უნდა იყოს მწერლისათვის, რომელიც ირიცხება საბჭოთა ლიტერატურის რიგებში და სარგებლობს ყველა იმ სიკეთით, რომლებსაც საბჭოთა ხალხი უხვად აძლევს მწერალთა განკარგულებაში, ელის რა მათგან უმწიკვლო, იდეურ, კეთილშობილურ ნაწარმოებებს.

პასტერნაკს საბჭოთა ღირსების თუნდაც ნაპერწკალი რომ შერჩენოდა, მასში რომ ცოცხლობდეს მწერლის სინდისი და ხალხის წინაშე მოვალეობის გრძნობა, ისიც უარყოფდა მისთვის როგორც მწერლისათვის დამამცირებელ „ჯილდოს“. მაგრამ განაწყენებული და გაბოროტებული ობივატელის გაზვიადებულ წარმოდგენას საკუთარ თავზე არ დაუტოვებია პასტერნაკის სულში საბჭოთა ღირსებისა და პატრიოტიზმის არავითარი ნიშანწყალი. მთელი თავისი საქმიანობით პასტერნაკი ადასტურებს, რომ ჩვენს სოციალისტურ ქვეყანაში, რომელიც მოცულია ნათელი კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის პათოსით, იგი სარეველაა.

**დ. ზასლავსკი.**

„პრავდა“, 1958 წ. 26 ოქტომბერი.

## სსრ კავშირის მწერალთა კავშირის წევრის, ბ. ლ. პასტერნაკის მოქმედების შესახებ, რომელიც შეუთავსებელია საბჭოთა მწერლის ხოდგვასთან

**სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის, რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირის საორგანიზაციო კომიტეტის ბიუროს, რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირის მოსკოვის განყოფილების გამგეობის პრეზიდიუმის დადგენილება**

სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმმა, რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირის საორგანიზაციო კომიტეტის ბიურომ და რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირის მოსკოვის განყოფილების გამგეობის პრეზიდიუმმა გაერთიანებულ სხდომაზე განიხილეს ბ. პასტერნაკის მოქმედება და მივიდნენ ერთსულოვან დასკვნამდე, რომ ეს მოქმედება შეუთავსებელია საბჭოთა მწერლის წოდებასთან, მიმართულია რუსული ლიტერატურის ტრადიციების წინააღმდეგ, ხალხის წინააღმდეგ, მშვიდობისა და სოციალიზმის წინააღმდეგ. დაიწყო რა ოდესღაც დეიკლარაციით „წმინდა ხელოვნების“ შესახებ, ბ. პასტერნაკმა იმით დაამთავრა, რომ გახდა ბურჟუაზიული პროპაგანდის იარაღი, სპეკულაციის ხელსაყრელი ობიექტი იმ წრეებისათვის, რომლებიც აწყობენ ცივ ომს, ცდილობენ სიცრუე გაავრცელონ ყველა პროგრესული და რევოლუციური მოძრაობის შესახებ. რეაქციული წრეები ბ. პასტერნაკის მორალურ-პოლიტიკურ დაცემას მოწონებით იმიტომ კი არ შეხვდნენ, რომ მასში აფასებენ მწერლის რაღაც ტალანტს, არამედ იმიტომ, რომ იგი შეუერთდა მათ გააფთრებულ, მაგრამ უიმედო ბრძოლას ისტორიის წინსვლითი მოძრაობის წინააღმდეგ.

ბ. პასტერნაკის ლიტერატურული მოღვაწეობა დიდი ხანია ამოიწურა ეგოცენტრისტულ კარჩაკეტილობაში, ხალხისა და დროისაგან თვითთიზოლაციაში. რომანი „ექიმი ჟივაგო“, რომლის გარშემოც ატეხილია პროპაგანდისტული ხმაური, ამყოვანებს მხოლოდ ავტორის უზომო წარმოდგენას თავის თავზე და აზრის სიღატაკეს, არის შეშინებული ობივატელის, ნაწყენისა და ამით დაშინებულის გოდება, რომ ისტორია არ წავიდა მიხვეულ-მოხვეული გზებით, რომლებიც მათ სურდათ მისთვის მიეწერათ. რომანის იდეა ყალბი და უმნიშვნელოა, ამოთრეულია დეკადენტური ნაგვიდან. მართლაც ბ. პასტერნაკი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ოქტომბრის რევოლუცია კანონზომიერი და საჭირო არ იყო, მაშინ როცა საბჭოთა ქვეყანა დღესასწაულობს თავის ორმოცდამეერთე წლისთავს, როგორც მძლავრი და განათლებული სახელმწიფო, რომელიც მსოფლიო კულტურისა და მეცნიერების პირველ რიგებში დგას. სოციალიზმის გამარჯვება უკვე ისტორიულად დამკვიდრებულია ევროპისა და აზიის ვეებერთელა ტერიტორიებზე. პროგრესულ აზრსა და გარდამქმნელ საქმიანობას ბ. პასტერნაკი ცდილობს დაუპირისპიროს რომან „ექიმ ჟივაგოს“ გმირის ცინიკურად ინდივიდუალისტური ფილოსოფია. რომან „ექიმ ჟივაგოს“ ამომწურავი შეფასება მოცემულია ჟურნალ „ნოვი მირის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი მწერლების წერილში 1956 წლის სექტემბერში.

საბჭოთა მწერლების კავშირი, სათუოად ეპყრობა რა მწერალთა შემოქმედებას, მთელი რიგი წლების მანძილზე ცდილობდა დახმარებოდა ბ. პასტერნაკს გაეგო თავისი შეცდომები, თავიდან აეცილებინა მორალური დაცემა. მაგრამ ბ. პასტერნაკმა გაწყვიტა უკანასკნელი კავშირი თავის ქვეყანასთან და მის ხალხთან, გადააქცია თავისი სახელი და თავისი მოღვაწეობა პოლიტიკურ იარაღად რეაქციის ხელში. ბ. პასტერნაკისათვის ნობელის პრემიის მიკუთვნება არსებითად რომან „ექიმ ჟივაგოსათვის“, რაც ნაჩქარევად დაფარეს მაღალფარდოვანი ფრაზებით მისი ლირიკისა და პროზის შესახებ, სინამდვილეში ხაზგასმით აღნიშნავს რეაქციული წრეების ბინძური თამაშის პოლიტიკურ მხარეს. სიმპტომატური და საგულისხმოა, რომ ერთი და იგივე ძალები აწყობენ ლაშქრობას ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობათა წინააღმდეგ, სამხედრო შანტაჟს არაბი ხალხების წინააღმდეგ, პროვოკაციებს სახალხო ჩინეთის წინააღმდეგ და ხმაურს ტეხენ ბ. პასტერნაკის სახელის გარშემო. ბ. პასტერნაკისათვის ნობელის პრემიის მიკუთვნებას თან ახლავს ანტისაბჭოთა კამპანიის გაძლიერება, რაც უკვე თავისთავად მოწმობს ამ დაჯილდოების პროპაგანდისტულ და არა ლიტერატურულ ხასიათს.

ფაქტები ის არის, რომ, სამწუხაროდ, ნობელის ლიტერატურულ პრემიებს პირველად როდი აძლევენ იმას, ვინც ემსახურება ცივი ომის კაცთმოძულე ძალებს, აწყობს ჯვაროსნულ ლაშქრობებს სოციალური პროგრესისა და ჰუმანიზმის წინააღმდეგ. ნობელის ლიტერატურულმა კომიტეტმა ვერ შენიშნა საქვეყნოდ ცნობილი მხატვრული ფასეულობანი, რომლებიც შექმნეს ლევ ტოლსტოიმ, ჩეხოვმა, გორკიმ, მაიაკოვსკიმ, შოლოხოვმა, მაგრამ სამაგიეროდ მისი ყურადღების არეში მოხვდა ბუნინი, მხოლოდ მაშინ, როცა იგი გახდა აქტიური პოლიტიკური ემიგრანტი, ახლა კი — გარეწარი ბ. პასტერნაკი. სავსებით გასაგებია რატომ შეიფასა ბურჟუაზიულმა პრესამ ბ. პასტერნაკის პრემია როგორც „ნობელის პრემია კომუნიზმის წინააღმდეგ“. პატიოსანი ადამიანები თვით შეეციაშიც და სხვა ქვეყნებშიც აშკარად გამოთქვამენ აზრს, რომ ნობელის პრემია ბ. პასტერნაკს მიეკუთვნა მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური მოტივებით.

ამიტომ, გაითვალისწინეს რა ბ. პასტერნაკის პოლიტიკური და მორალური დაცემა, მისი გამცემლობა საბჭოთა ხალხის, სოციალიზმის საქმის, მშვიდობის, პროგრესის მიმართ, რაც ანაზღაურებულია ნობელის პრემიით ცივი ომის გაჩაღების ინტერესებისათვის, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმმა, რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირის საორგანიზაციო კომიტეტის ბიურომ და რუსეთის სფსრ მწერალთა კავშირის მოსკოვის განყოფილების გამგეობის პრეზიდიუმმა ჩამოართვეს ბ. პასტერნაკს საბ

# განიარაღების პროგლემა შეიძლება გადაჭრილ იქნას

**ნიუ-იორკი,** 27 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XIII სესიაზე სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ვ. ა. ზორინმა უპასუხა ავსტრიისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რადიოგადაცემათა კორესპონდენტს.

### ვ. ა. ზორინის გამოსვლა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რადიოთი

**კითხვა.** ამა თვის 31 რიცხვისათვის დაგეგმილია დაიწყოს მოლაპარაკება ჟენევაში ატომგულის იარაღის გამოცდის შეჩერების შესახებ შესაძლებელი პოლიტიკური შეთანხმების მძღწევის მიზნით. რა კავშირს ხედავთ ამ მოლაპარაკებასა და პოლიტიკურ კომიტეტში ახლანდელ დისკუსიას შორის, რომელიც ამავე საკითხს ეხება?

**პასუხი.** ჰარდპირს. იმაზე, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს გენერალური ასამბლეა ატომური და წყალბადის იარაღის გამოცდის შეწყვეტის საკ-ხზე, ბევრად იქნება დამოკიდებული ჟენევის მოლაპარაკების მსვლელობა და შედეგი. თუ ასამბლეამ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც მოუწოდებს იმ სახელმწიფოებს, რომლებიც აწარმოებენ ატომგულის იარაღს, დაუყოვნებლივ და უთუოდ შეწყვიტონ მისი გამოცდა, მაშინ ეს დიდ დადებით გავლენას იქონიებს ამერიკის შეერთებული შტატების, სსრ კავშირისა და ნგლისის მომავალ თათბირზე ჟენევაში ამ საკითხის სწრაფად და საბოლოოდ გადაწყვეტაზე. თუ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის მთავრობანი საქმით ესწრაფვიან შეწყვიტონ ატომგულის იარაღის გამოცდა, ისინი ვერ იქნებიან მისი გამოცდის ყველგან და უთუოდ შეწყვეტის შესახებ ჟენევაში ასამბლეის მიერ ასეთი გადაწყვეტილების მიღების წინააღმდეგი. საბჭოთა დელეგაციის აზრით, ასეთი გადაწყვეტილების ერთსულოვნად მიღება ასამბლეაში შესაძლებელი და მიტად საჭიროა გამალებული ატომური შეიარაღების შეწყვეტისა და მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის საერთოდ.

**საბჭოთა კავშირს,** რომელიც ჟენევის ამ თათბირზე მიდის მტკიცე განზრახვით მიაღწიოს ატომგულის იარაღის გამოცდის დაუყოვნებლივ და უთუოდ აკრძალვას სამუდამოდ, მიაჩნია, რომ ამ პოზიციას ამ საკითხში მხარს დაუჭერენ ყველა ისინი, ვინც არა სიტყვით, არამედ საქმით მოითხოვს ასეთ რადიკალურ და საბოლოო გადაწყვეტილებას.

**კითხვა.** პოლიტიკურ კომიტეტში კამათის დროს ზოგიერთმა ორატორმა წამოაყენა იდეა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მუდმივი ორგანოს ეხსახებ, რომელიც იმუშავებს განიარაღების პრობლემაზე. მიგაჩნიათ თუ არა, რომ ასეთი ორგანოს შექმნა აასარგებლო იქნებოდა?

**პასუხი.** საკითხს იმის შესახებ, თუ სად იქნება მოლაპარაკება განიარაღებაზე — გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩარჩოებში თუ ამ ორგანიზაციის გარეთ, არ ექნება ვადამწყვეტი მნიშვნელობა, რადგან დიდმნიშვნელოვანია მოლაპარაკების შედეგი. კარგია ის მოლაპარაკება, რომელიც კარგ შედეგს იძლევა. თუ ესა თუ ის საბჭოთა სახელმწიფოები ეწევიან მოლაპარაკებას განიარაღების ცალკეულ საკითხებზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარეთაც. ეს ნორმალური მოვლენაა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრს შეუძლია ისარგებლოს მოლაპარაკების წარმატების ნაყოფით, თუ ასეთი მიღწეულ იქნა. ამასთან ერთად საბჭოთა კავშირი მოითხოვს აგრეთვე მოლაპარაკებას განიარაღების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩარჩოებშიც. მაგრამ ჩვენ მტკიცედ ვეწინააღმდეგებით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ისეთი ორგანოს შექმნას, რომელშიც შენარჩუნებულ იქნება განიარაღების მოწინააღმდეგეთა — იმ სამხედრო ბლოკების მონაწილეთა ძალადობა, რომელსაც მეთაურობენ ამერიკის შეერთებული შტატები, როგორც ეს იყო წარსულში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიასა და მის ქვეკომიტეტში. ასეთი ორგანოები, როგორც გამოცდილება ცხადყოფს, არა თუ ხელს არ უწყობენ განიარაღების პრობლემის გადაჭრას, არამედ, პირიქით, მათ გამალებული შეიარაღების მომხრეები იყენებენ შირმად თავიანთი სამხედრო მზადების დასაფარავად.

საბჭოთა კავშირი იმ პოზიციას ადგას, რომ განიარაღების კომისია უნდა შეიქმნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრი ახელმწიფოთა წარმომადგენელთა მონაწილეობით, რადგან განიარაღების საკითხები აღელვებენ ყველა ქვეყნის როგორც პატარა, ისე დიდი ქვეყნების ხალხებს. თუ ასეთი გადაწყვეტილების მიღება არ მოხერხდა, საბჭოთა კავშირი თანახმა იქნება შეიქმნას კომისია უფრო მცირე შემადგენლობით, მაგრამ რომელშიც სულ ცოტა წევრთა ნახევარი იქნას სოციალისტური ქვეყნებისა და ნეიტრალურ სახელმწიფოთა წარმომადგენლები, რათა თავიდან აცილებულ იქნას კომისიაში იმ სახელმწიფოთა ძალადობა, რომლებიც დასავლეთის სახელმწიფოთა სამხედრო ბლოკებში შედიან და დაინტერესებული არ არიან ნამდვილი განიარაღებით.

**კითხვა.** თუმცა პატარა ქვეყნების წარმომადგენლები აგრეთვე მონაწილეობენ კამათში განიარაღების შესახებ, ჩანს, რომ განიარაღების მთელი პრობლემა შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ დიდ სახელმწიფოთა შეთანხმების გზით. მაგრამ ფიქრობთ თუ არა, რომ პატარა ქვეყნებს, ისეთებს, როგორიც ავსტრიაა, შეუძლიათ რაიმე როლი შეასრულონ ამ მოლაპარაკებაში?

**პასუხი.** რა თქმა უნდა, განიარაღების პრობლემის გადაჭრა დამოკიდებულია უწინარეს ყოვლისა დიდ სახელმწიფოებზე. მაგრამ პატარა ქვეყნებს, ისეთებს, როგორიც ავსტრიაა, უეჭველია, შეუძლიათ აგრეთვე შეასრულონ არა მცირე როლი ამ სასიცოცხლოდ დიდმნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრაში.

გამალებული შეიარაღების შეწყვეტით დაინტერესებული არიან ყველა ქვეყნის, როგორც დიდი, ისე პატარა ქვეყნების ხალხები. ყოველი ქვეყნის ხმა, რაგინდ პატარაც უნდა იყოს იგი, განიარაღების სასარგებლოდ ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვისათვის, ამ იარაღის გამოცდის დაუყოვნებლივ და უთუოდ შეწყვეტისათვის წარმოადგენს წვლილს მშვიდობის საქმეში და ლახვარს გამალებული შეიარაღების მომხრეებისათვის. რაც უფრო მტკიცედ გამოვლენ პატარა ქვეყნები იმ პოლიტიკის წინააღმდეგ, რომლის მიზანია გამალებული შეიარაღების განგრძობა. და ამ პრობლემის არსებითი საკითხების უსწრაფესი გადაჭრის სასარგებლოდ, მით უფრო ძნელი იქნება გამალებული შეიარაღების მომხრეებისათვის წინააღმდეგობა გაუწიონ ამ პრობლემის დადებით გადაწყვეტას და ჩაშალონ განიარაღების საკითხებზე შეთანხმების მიღწევა. ავსტრია როგორც ნეიტრალური ქვეყანა არ შეიძლება განსაკუთრებით დაინტერესებული არ იყოს ამ საკითხების უსწრაფესი დადებითი გადაჭრით. ავსტრია რომ, ისე როგორც სხვა ნეიტრალური ქვეყნები, მტკიცედ გამოვიდოდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ატომგულის იარაღის გამოცდის დაუყოვნებლივ და უთუოდ შეწყვეტის სასარგებლოდ, იგი, უეჭველია, თავის დადებით როლს შეასრულებს ამ საკითხზე შეთანხმების მიღწევაში.

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია კოპენჰაგენში ჩავიდა

**კოპენჰაგენი,** 29 ოქტომბერი. (საკდესი). დანიის კომუნისტური პარტიის XX ყრილობაზე სტუმრად დღეს კოპენჰაგენში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია, რომელშიც შედიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი და ცენტრალური კომიტეტის მდივანი პ. ნ. პოსპელოვი, ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ი. პელში და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგის მოადგილე ვ. პ. ტერიოშკინი.

## შეიქმნა საზოგადოება „სსრ კავშირ-იტალიის“ საქართველოს განყოფილება

რესპუბლიკის საზოგადო მოღვაწეთა ჯგუფმა დასვა საკითხი შეიქმნას საზოგადოება „სსრ კავშირ-იტალიის“ საქართველოს განყოფილება. ამ წინადადებას მხარი დაუჭირეს.

საქართველოს უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოებაში გაიმართა საორგანიზაციო კრება, რომელიც მონაწილეობა მიიღეს თვალსაჩინო მეცნიერებმა, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებმა, თბილისის სარკინიგზო საწარმოთა წარმომადგენლებმა.

კრება გახსნა საქართველოს უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ ა. ელენტმა.

მოხსენება გააკეთა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ვ. საბაშვილმა. მან ილაპარაკა საქართველოსა და იტალიის ძველ და მრავალმხრივ კულტურულ ურთიერთობაზე.

კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს გადაწყვეტილება დაარსდეს საზოგადოება „სსრ კავშირ-იტალიის“ საქართველოს განყოფილება. გამგეობის წევრებად არჩეულია 37 კაცი.

კრებაზე გამოქვეყნდა საზოგადოება „სსრ კავშირ-იტალიის“ პრეზიდენტის სსრ კავშირის სახალხო არტისტის გ. ალექსანდროვის მისასალმებელი დეპეშა. მიღებულ იქნა გადაწყვეტილება გაიგზავნოს დეპეშა და საზოგადოების საქართველოს განყოფილების შექმნა ეცნობოს რომში საზოგადოება „იტალია-სსრ კავშირს“ და მოსკოვში საზოგადოება „სსრ კავშირ-იტალიის“.

გაიმართა საზოგადოების გამგეობის პირველი სხდომა. საზოგადოება „სსრ კავშირ-იტალიის“ საქართველოს განყოფილების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი მ. სამაშვილი. თავმჯდომარის მოადგილეებად არჩეული არიან სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. ანჯაფარიძე, საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი ბ. ელენტი და ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ვ. მაჭავარიანი, პასუხისმგებელ მდივნად — საქართველოს უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საზოგადოების რეფერენტი ი. დოლიძე. (საქდესი).

## მოსახლეობის 1959 წლის სრულიად საკავშირო აღწერა

პოლიტიკური ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ მასობრივი ტირაჟით გამოუშვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული (ეროვნული სტატისტიკური სამმართველოს მიერ მომზადებული ბროშურა „მოსახლეობის 1959 წლის სრულიად საკავშირო აღწერა“. ბროშურა შეიცავს მასალებს მოსახლეობის აღწერის შესახებ, რომლებიც საჭიროა აგიტატორებისა და პროპაგანდისტებისათვის.

თარჯრბენი 80 მეტრზე ქალებისათვის.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

* * *

## საკავშირო ჩემპიონატი მძლეოსნობაში

28 ოქტომბერს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე საზეიმოდ გაიხსნა სსრ კავშირის გუნდური ჩემპიონატი მძლეოსნობაში.

სპორტსმენთა პარადი მიიღო შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა მ. ტომილინმა. სტუმრებს მიესალმა საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. კვაჭაძე.

მძაფრი ბრძოლით ხასიათდებოდა შეჯიბრება სიმაღლეზე ხტომაში, სადაც წარმატებით გამოვიდა საქართველოს წარმომადგენელი რ. შავლაყაძე, რომელმაც პირველი ადგილი დაიკავა. იგი გადახტა 2 მეტრსა და 9 სანტიმეტრზე.

ქალთა შორის გამორბენით სიგრძეზე ხტომაში უძლიერესი იყო ვ. შაბრუნოვა (ლენინგრადის პირველი გუნდი, 6 მეტრი და 9 სანტიმეტრი), სპორტულ სიარულში 20 კილომეტრზე — ვ. გოლუბნიჩი (უკრაინა, 1 საათი, 29 წუთი და 31 წამი).

სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება 10.000 მეტრზე რბენაში მოიპოვა მოსკოვის პირველი გუნდის წარმომადგენელმა პ. ბოლოტნიკოვმა (29 წუთი და 6,8 წამი).

**ვაუთა შორის ბირთვის კვრაში სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა სომხეთის მძლეოსანმა ვ. ოვსეპიანმა (17 მეტრი და 93 სანტიმეტრი).**

* * *

29 ოქტომბერს დილიდანვე „დინამოს“ სტადიონზე გრძელდებოდა ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მძლეოსანთა შეხვედრები.

სტარტზე არიან სპრინტერები — 100 მეტრზე ფინალური გარბენის მონაწილე ვაქები. მალე დაწინაურდა ლენინგრადელი სპორტსმენი ე. ოზოლინი, რომელმაც დისტანცია 10,3 წამში გაირბინა.

ამავე დისტანციაზე დასკვნითს შეჯიბრებაში ქალთა შორის ფინიშის ზოლი გულზე პირველმა აიკრა უკრაინელმა მძლეოსანმა ვ. კრეპკინამ (11,6 წამი).

საინტერესოდ წარიმართა ფინალური ასპარეზობა თარჯრბენში ვაუთათვის 110 მეტრზე. პირველი ორი ადგილი დაიკავეს ლენინგრადელმა მძლეოსნებმა ა. მიხაილოვმა და ნ. ბერეზუცკიმ.

კარგი შედეგით დაამთავრეს შეჯიბრება მძლეოსნებმა 3.000 მეტრზე რბენაში დაბრკოლებებით. აქ ბრძოლა ძირითადად ს. რეშეტნიხსა და ვ. ევდოკიმოვს შორის მიმდინარეობდა. გაიმარჯვა ვ. ევდოკიმოვმა (ლენინგრადი, 8 წუთი და 53,6 წამი).

* * *

გუშინდელი ასპარეზობა მძლეოსნობაში მაღალი სპორტული შედეგით აღინიშნა.

**ლიტვის გუნდის მძლეოსანმა ქალმა ბირუტე ზალაგაიტიტემ შუბი ტყორცა 57 მეტრსა და 49 სანტიმეტრზე და ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა.**

რობერტ შავლაყაძე.

* * *

ამავე დღეს მოეწყო რამდენიმე ნახევარფინალური და ფინალური შეჯიბრება. 80 მეტრზე თარჯრბენის ფინალში გაიმარჯვა გ. ბისტროვამ (რსფსრ, 10,8 წამი).

გუნდურ ასპარეზობაში წინ არიან ლენინგრადის, რსფსრ და მოსკოვის მძლეოსანთა პირველი კოლექტივები. საკავშირო ჩემპიონატი 2 ნოემბრამდე გაგრძელდება.

## მატჩი ასუჯრედიან შაშში

მსოფლიო პირველობაზე მატჩი ასუჯრედიან შაშში საბჭოთა გროსმაისტერ კუპერმანსა და დელორიეს (კანადა) შორის დასასრულს უახლოვდება. მე-17 პარტია ყიმთით დამთავრდა. შეჯვედრის ანგარიშია 9,5:7,5 კუპერმანის სასარგებლოდ.

## ქართველი ფეხბურთელები ირანში

თბილისის დინამოელი ფეხბურთელები სტუმრად ირანში იმყოფებიან. პირველ საერთაშორისო მატჩში დინამოელები შეხვდნენ ქ. თავრიზის გუნდს და გაიმარჯვეს ანგარიშით 7:0.

28 ოქტომბერს თეირანში თბილისის „დინამოს“ გუნდი შეხვდა ირანის ფეხბურთელთა კოლექტივს „შახინს“. ხაინტერესო ბრძოლა დამთავრდა დინამოელთა გამარჯვებით 2:1.

## „ბ“ კლასის მეოთხე ზონაში

„ბ“ კლასის გუნდების შეჯიბრება ზონებში დასასრულს უახლოვდება. განსაკუთრებით საინტერესოდ წარიმართა ბრძოლა მეოთხე ზონაში.

გადამწყვეტ შეჯიბრებაში ერევნის სპარტაკელებმა დაამარცხეს თბილისის სკვო ანგარიშით 2:1 და 43 ქულით დამთავრეს ზონის მატჩები.

როსტოვის სკვო-სა და კრასნოდარის „ყუბანის“ შეხვედრაში გაიმარჯვეს როსტოველებმა 3:0.

ზონებში გამარჯვებულთა დასკვნითი შეჯიბრება თბილისში 5 ნოემბრიდან დაიწყება. თბილისში მოეწყობა აგრეთვე ერევნის „სპარტაკისა“ და როსტოვის სკვო-ს დამატებითი მატჩი, რომლებმაც თანბარი ქულები შეაგროვეს. შეჯიბრება დანიშნულია 2 ნოემბრისათვის.

## ჩემპიონები სპორტულ ტანვარჯიშში

თბილისის ლენინის სახელობის სახპორტო დარბაზში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა საქართველოს პირველობა გუნდური პირველობის გათვალისწინებით სპორტულ ტანვარჯიშში.

ქალთა შორის საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონი გახდა ჟ. ქაჯაია. მომდევნო ორი ადგილი დაიკავეს ტ. კომისარენკომ და მ. ნინოშვილმა. ვაუთა შორის აბსოლუტური ჩემპიონის წოდება მოიპოვა რ. კაკახიძემ. მეორე ადგილზე გამოვიდა ნ. მაკალათია, მესამეზე — ა. ნარიმანოვი.

გუნდურ ჩათვლაში უძლიერესი იყო „დინამოს“ ტანმოვარჯიშეთა კოლექტივი.

**რედაქტორი**
**დ. მჭედლიშვილი.**

## საფრანგეთის კომუნისტური პარტიის წინასაარჩევნო მიტინგი პარიზში

**პარიზი,** 29 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ საღამოს პარიზში გაიმართა მშრომელთა მასობრივი მიტინგი, რომლითაც საფრანგეთის კომუნისტურმა პარტიამ დაიწყო თავისი წინასაარჩევნო კამპანია. ათასობით ფრანგი, რომლებმაც აავსეს ზამთრის ცირკის შენობა, ფეხზე მდგომნი მჭუხარედ მიესალმებოდნენ საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელებს მორის ტორეზის მეთაურობით, რომლებიც პრეზიდიუმში შემოვიდნენ. ერთიანი აპლოდისმენტებით მიტინგის ყველა მონაწილე მღერის „პროლეტარულ ჰიმნს „ინტერნაციონალს“.

გახსნა რა მიტინგი, მორის ტორეზმა დაახასიათა პოლიტიკური მდგომარეობა საფრანგეთში და პარტიის ამოცანები ეროვნული კრების მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით.

შემდეგ გამოვიდა საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ვალდეკ როშე, რომელმაც ჩამოაყალიბა კომუნისტური პარტიის მოქმედების პროგრამის ძირითადი დებულებანი. მან გამოთქვა რწმენა, რომ მილიონობით მშრომელი დარესპუბლიკელი 23 ნოემბრის არჩევნებში ხმას მისცემენ კომუნისტების კანდიდატებს, რათა „გზა გადაუღობონ რეაქციის შემოტევას და უზრუნველყონ მომავალ პარლამენტში ძლიერი მუშათა და რესპუბლიკური ოპოზიციის შექმნა“

საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა რაიმონ გიუიომ მკაცრად გააკრიტიკა ახლანდელი საარჩევნო სისტემა და საარჩევნო ოლქებად დაყოფის ხასიათი. ცხადყო რა, რომ ამის მიზანია მაქსიმალურად შეზღუდონ მუშათა კლასისა და კომუნისტური პარტიის წარმომადგენლობა პარლამენტში. რაიმონ გიუიომ შეკრებილთ წარუდგინა კომუნისტური პარტიის, მიერ პარიზის რაიონში დასახელებული კანდიდატები. კანდიდატთა შორის არიან მორის ტორეზი, ჟაკ დიუკლო, ეტიენ ფაჟონი, ვალდეკ როშე, ჟანეტ ვერმერში, რაიმონ გიუიო, როჟე გაროდი და საფრანგეთის კომუნისტური პარტიის სხვა თვალსაჩინო მოღვაწეები.

მორის ტორეზის წინადადებით მიტინგის მონაწილეებმა დიდი ენთუზიაზმით ერთხმად დამტკიცეს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის კანდიდატთა სია.

## ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის მოლაპარაკება თეირანში

**თეირანი,** 29 ოქტომბერი. (საკდესი). გაზეთი „ეთელაათი“ იუწყება, რომ თეირანში ყოფნის დროს ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრმა მაკელროიმ მოაწყო თათბირი ირანში ამერიკის სანხედრო მრჩეველთა მისიის ხელმძღვანელს გენერალ ლინკვისტისა და უფროსი ამერიკელი ოფიცრების მონაწილეობით. როგორც ცნობილი გახდა, აღნიშნავს გაზეთი, ამ თათბირმა განიხილა ირანისათვის ამერიკის სამხედრო დახმარების გადიდების საკითხი და გადაწყდა, რომ ეს დახმარება გაეწიოს ძირითადად სამხედრო მასალის მიწოდების სახით. მაკელროი შეხვდა ირანის პრემიერ-მინისტრს, საგარეო საქმეთა მინისტრს, სამხედრო მინისტრს, უმაღლესი მთავარსარდლის შტაბის უფროსს. იგი მიიღო შაჰმა და მოლაპარაკება ჰქონდა ირან-ამერიკის სამხედრო ხელშეკრულების დადების შესახებ, რომლის ტექსტი, როგორც გაზეთი წერს, ათი დღის წინათ გადაეცა შესასწავლად ირანის ხელისუფალთ.

**პარიზი,** 29 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი თეირანიდან იუწყება, ფიქრობენ, რომ შაჰთან და ირანის მთავრობის ხელმძღვანელებთან მაკელროის მოლაპარაკების მთავარი თემა იყო ამერიკის შეერთებული შტატების, წინადადება, რომ განზრახული ხელშეკრულება ირანსა და შეერთებულ შტატებს შორის შეტანილ იქნეს ახალ რეგიონალურ სამხედრო სისტემაში. როგორც თეირანის ინფორმირებული წყაროები აღნიშნავენ, ეს იქნება ახალი ვარიანტი ბაღდადის პაქტისა, რაც შესაძლებლობას მისცემს თურქეთსა და პაკისტანს მონაწილეობა მიიღონ მასში.

## პაკისტანში შეიქმნა პრეზიდენტის კაბინეტი

**კარაჩი,** 29 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც პაკისტანის პრესის დეპარტამენტი იუწყება, გუშინ შეიქმნა პრეზიდენტის კაბინეტი. პრემიერ-მინისტრის პოსტი გაუქმდა.

პაკისტანის პრეზიდენტმა გენერალმა აიიუბ-ხანმა მიიღო პრეზიდენტის კაბინეტის წევრთა ფიცი. კაბინეტში შედიან გენერალ-ლეიტენანტი მოჰამედ აზამ-ხანი, გენერალ-ლეიტენანტი უ. ა. ბარკი, მოულვი მოჰამედ იბრაჰიმი, გენერალ-ლეიტენანტი კ. მ. შეიხი, ადგილ კასიმი. ზულფიგარ ალი-ხან ბჰატო, ჰაფიზულ რაჰმანი, ფ. მ. ხანი.

კაბინეტის წევრებს ეწოდებათ მინისტრები. პრეზიდენტის ბრძანების თანახმად მინისტრებს დანიშნავს და გადააყენებს პრეზიდენტი.

## უცხოეთის ქრონიკა

◆ **დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის წევრი ჯო რუტხი არჩეულია პასუხსაგებ პოსტზე მშენებელ მუშათა გაერთიანებულ პროფკავშირში, რომელიც ერთ-ერთი უდიდესი პროფკავშირია ინგლისში. რუტხი არჩეულია პროფკავშირის ლონდონის განყოფილების ორგმდივნად.**

◆ **28 ოქტომბერს შვეიცის მეცნიერებათა აკადემიამ თავის სხდომაზე 1958 წლის ნობელის პრემია ფიზიკის დარგში მიანიჭა სამ საბჭოთა მეცნიერს პ. ა. ჩერენკოვს, ი. მ. ფრანკსა და ი. ე. ტამს „ჩერენკოვის ეფექტის აღმოჩენისა და განმარტებისათვის“.**

◆ **28 ოქტომბერს ბერმის პარლამენტის დეპუტატთა პალატის საღამოს სხდომაზე, რომელიც 10 წუთს გაგრძელდა, თავმჯდომარემ მან ბა საინგმა გამოაცხადა, რომ გენერალი ნე ვინი ერთხმად არჩეულია პრემიერ-მინისტრად.**

◆ **როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტომ გამოაცხადა, 28 ოქტომბერს ნევადის შტატის საცდელ პოლიგონზე მოხდა ატომგულის ბორიგი აფეთქება.**

◆ **ამავე სააგენტოს ცნობით 28 ოქტომბერს დასავლეთ ვირგინიის შტატის ერთ-ერთ შახტში მოხდა ნაშახტო გაზის აფეთქება. აფეთქების შედეგად დაიღუპა 13 კაცი. ოთხი მეშახტე დაშავდა.**

როგორც სააგენტო აღნიშნავს, უკანასკნელ დღეღამეში ეს უკვე მეორე აფეთქებაა დასავლეთ ვირგინიის შახტებში, რასაც ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვა.

◆ **ჟურნალ „ისტერნ უორლდის“ უკანასკნელ ნომერში გამოქვეყნებული სტატიის თანახმად, ნატოს მთავარ ბინაში პარიზში გავრცელდა ხმები იმის შესახებ, რომ ამერიკის ჯარები უახლოეს ხანში გადასხდებიან სამხრეთ ირანში.**

**თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი** ეკონომიური ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილების სტუდენტთა საყურადღებოდ აცხადებს: ს. წ. 10 ნოემბრიდან 26 ნოემბრამდე პერიფერიის ყველა კურსის სტუდენტებისათვის ჩატარდება რეგისტრაცია და მიმოხილვითი ლექციები სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საგნებში. სასწავლო შეკრებაზე სტუდენტთა გამოცხადება სავალდებულოა.

მისამართი: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპ. № 36, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ეკონომიური ფაკულტეტის დაუსწრებელი განყოფილება.

**თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების განყოფილება სტუდენტთა საყურადღებოდ** აცხადებს, რომ 16 და 30 ნოემბერს, 14 და 28 დეკემბერს თბილისში, ხოლო 2 და 23 ნოემბერს, 7 და 21 დეკემბერს თელავის, გორის, ახალციხის და წნორის სარაიონთაშორისო საკონსულტაციო პუნქტებში დანიშნულია საკვირაო კონსულტაციები.

კონსულტაციები მოეწყობა: თბილისში — ინსტიტუტის შენობაში (ი. ჭავჭავაძის პროსპ. № 32) თელავსა და გორში — პედაგოგიური ინსტიტუტების შენობებში, ახალციხეში—პედაგოგიური სასწავლებლის შენობაში, ხოლო წნორში — ქართული საშუალო სკოლის შენობაში.

კონსულტაციების ცხრილის გაცნობა შეიძლება საკონსულტაციო პუნქტების გამგეებთან.

კონსულტაციები დაიწყება: თბილისში დილის 10 საათიდან, საკონსულტაციო პუნქტებში კი — 11 საათიდან.

ამავე დღეებში როგორც თბილისში, ისე საკონსულტაციო პუნქტებში აკადემიური დავალიანების მქონე სტუდენტებისათვის იწარმოებს გამოცდები ცხრილით გათვალისწინებულ დისციპლინებში.

სტუდენტებს შეუძლიათ წერილობითი კონსულტაციისათვის მიმართონ დაუსწრებელ განყოფილებას.

ის სტუდენტები, რომლებიც აკადემიურ დავალიანებას არ დაფარავენ ა. წ. 25 დეკემბრამდე, დატოვებულ იქნებიან იმავე კურსზე.

პირველი დეკემბრის შემდეგ საკონტროლო სამუშაოები არ მიიღება და სტუდენტი შესაბამის საგანში გამოცდაზე არ იქნება დაშვებული.

**თბილისის სამეცნიერო-საკვლევი კიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტი** აცხადებს კონკურსს აგრომეტეოროლოგიური განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე (მეცნიერების დოქტორი, კანდიდატი ან პრაქტიკული გამოცდილების დიდი სტაჟის მქონე).

განცხადებას უნდა დაერთოს: კადრების აღრიცხვის პირადი ბარათი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლების დიპლომის სათანადოდ შემოწმებული პირი, სამეცნიერო წოდებასა და ხარისხში დამტკიცების სათანადოდ შემოწმებული პირები, დახასიათება სამსახურის უკანასკნელი ადგილიდან, სამეცნიერო შრომების სია და რეცენზიები მათ შესახებ.

კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

ინსტიტუტის მისამართი: ქ. თბილისი, პლეხანოვის პროსპ. № 150.

**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო საძმის ინსტიტუტი** აცხადებს კონკურსს უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე სამშენებლო კონსტრუქციების სპეციალობით.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა ინსტიტუტის დირექტორის სახელზე უნდა წარმოადგინონ განცხადება შემდეგი საბუთების დართვით (ორ ცალად): კადრების აღრიცხვის ფურცელი ფოტოსურათით, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის, სამეცნიერო ხარისხის და სამეცნიერო წოდების მინიჭების ცნობების ნოტარიულად შემოწმებული პირები, სამეცნიერო შრომების სია და თვით უმთავრესი გამოქვეყნებული შრომები, სამსახურებრივი დახასიათება.

კონკურსის ვადაა ერთი თვე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა. განცხადებები მიიღება ინსტიტუტის კანცელარიაში, ზოია რუხაძის ქ. № 1.

**თბილისის სახელმწიფო ცირკი**

ყოველდღე

**დიდი საცირკო წარმოდგენა**

**უკრაინის სახელმწიფო ცირკის**

**გასტროლები**

მხატვრული ხელმძღვანელი რსფსრ დამსახურებული არტისტი

**პ. ნ. მაიაცკი**

პროგრამა სამ განყოფილებად

დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.

**კვირაობით დღის ორი საბავშვო წარმოდგენა**

დასაწყისი I — 12 ს. და II — 3 ს.

ბილეთები იყიდება. მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.

**თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი**

შაბათს, 1 ნოემბერს

აბონემენტს გარეშე

**ა. ბუკია**

**არსენა**

26 ოქტომბრისათვის აღებული ბილეთები ვარგისია 1 ნოემბერს.

კვირას, 2 ნოემბერს

საღამოს

6 ან. 1 წარმ.

**დ. პუჩინი**

**ჩიო-ჩიო-სან**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

**ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის სამგზავრო საბაგონო დეპოს ვაგონების გაყიდულთა თანამდებობაზე მუდმივ სამუშაოდ ესაჭიროება ქალები** არანაკლებ 18 წლის ასაკისა, რომლებსაც აქვთ შეიდწლიანი განათლება მაინც.

მიღებულთათვის მოეწყობა ორთვიანი მოსამზადებელი კურსები. სწავლების პერიოდში მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით.

ცნობებისათვის მიმართეთ ყოველდღე (გარდა კვირა და უქმე დღეებისა) დეპოს კადრების განყოფილებას 9-დან 18 საათამდე შემდეგი მისამართით: ამიერკავკასიის რკინიგზის თბილისის სამგზავრო საოგური. სავაგონო დეპო. ტელეფონი 3-00-20, დამატებითი 21-22.

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 3-62-26, რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, 3-32-46, პასუხისმგებელი მდივნის — 3-72-80, სამდივნოსი — 3-06-88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, ადგილობრივი ინფორმაციის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთ